

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 27

2020



მთ. რედაქტორი

მურად ჭოლოპავა

პოეტი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**ანიშაული**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს სახელი №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-834-2 (27 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემლება „მოლოდინება“ გამოსცემა ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთ-სამცნეომრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეტმა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონინდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხება.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიმნიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძမინა დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოეტი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივად შესტრი ყოველ ქვებას, ყოველ ძაბუბას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

წარსულის ზარდახშა

ვაჟა ეგრისელი ქართული პოეტური გენიის თავისებური და ორიგინალური გამოვლინებაა. იგი ერთი ცოცხალი სულია რომანტიკული საქართველოსი... სალიტერატურო კრიტიკა, კლასიკური ლიტერატურის ეტალონად ქცეულ ვაჟა-ფშაველას თვალსაწიერიდან უყურებს „იქმენ ნათელისა“ და „კოლხური ფსალმუნების“ 100-ტომეულის აგტორს, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს რწმენას მისი ჭეშმარიტი ტალანტისადმი.

ქართველმა მაღალ გემოვნებიანმა და მომთხოვნია მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა ვაჟა ეგრისელის მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი შე-



მოქმედება, რომელიც თანამედროვე მსოფლიო მწერ-ლობას უსწორებს თვალს.

ვაჟა ეგრისელის სახელი, კარგა ხანია ჭეშმარი-ტად მაღალ კულტურულ ორიენტირებთან ასოცირ-დება. იგი იმ სულიერ ღირებულებას წარმოადგენს, რომლის ხილული თუ უხილავი სიგრცე უნივერსა-ლური განვენილობითაა აღბეჭდილი...

ვაჟა ეგრისელი ჩვენი თანამდეროვეა, რომლის შემოქმედებაში საოცრად შთამბეჭდავი, საგანგებო პოეტური მიგნებითაა პერსონიფიცირებული სამშობლოს ისტორია, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. ეგრისელი პოეზიას ხალხის, ქვეყნისა და ბიოგრაფი-ის საკუთარ ნაწილად მიიჩნევს. პოეტი ღრმადად დარწმუნებული, რომ მისი პოეზია, რომელიც ხალ-ხის სიყვარულთანაა წილნაყარი, უკვდავია.

*

„გადაშლის უამი
სიკვდილ-სიცოცხლის
სქელ ყდაში ჩასმულ
ვევბა წიგნს
ჩვენი ცხოვრების
და ასო „ე“-ზე ჩაბეცავს
ალფავიტს“. —



თავს წაუქცევენ დვინოს ჭიქები,
მერე ჩიტები დასხდებიან
ლოდზე
საფლავის
და ყოველ დილით,
ჩემს სიყვარულს იჭიკვიაქებენ“.

ვაჟა ეგრისელის პატრიოტული ლირიკა პოეტუ-
რი თვალით დანახული მამულის სრულიად ახალი,
საოცარი ჯადოსნური ფერებით ელგარებს. თავის
წიგნზე პოეტი წერს:

„წიგნი კი არა,
ჩემი მკვიდრი სამოსახლოა,
სადაც მღელვარე
სულს იოკებენ –

ფიქრები...
და მზე აქ დასტამბული,
და სტრიქონების თეთრი თოკებით –
უკელა ფურცელში –

მწევარივით
მე ვარ დაბმული“.

პოეტის ცხოვრება – ლექსია, წიგნები – ამ
ცხოვრების გარკვეული ეტაპები. მკითხველმა იცის,
რომ ვაჟა ეგრისელი თავისი შემოქმედების შუა გზა-
ზეა და ის მისგან ბევრ დირსშესანიშნავ ნაწარმოქ-
ბებს ელოდება.



გავიხსენოთ რა გადახდა საქართველოსა და
ქართველ კაცს შორეულ წარსულში. ბევრი სიძნელე
და გაჭირვება, ტანჯვა-წამება, სისხლი და მსხვერ-
პლი. გზა ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმიდან
თავისუფალ, დამოუკიდებელ სახელმწიფომდე, რაზე-
დაც ოცნებობდნენ ჩვენი სახელოვანი წინაპრები.

საზგასმით აღვნიშნავთ: აბსოლიტურად შეუძლე-
ბელია, რომ ეს მოვლენები არ აესახა მგოსანს თა-
ვის შემოქმედებაში. მაგრამ თუ ეს ისტორიის მხო-
ლოდ გარითმული ანარეკლია, მაშინ მისი შემქმნელი
მემატიანება და არა ოდენ პოეტი.

ლექსის „9 მარტი, 1956 წელი, 9 აპრილი 1989
წელი“ სათაური მიგვანიშნებს მის თემატიკურსა და
ქრონოლოგიურ მასშტაბებზე:

*

„გვა, რამდენი წელი გავიდა,
ქართულ ცაზე რომ
მგლოვიარედ
ფრენენ მერცხლები.
რამდენი წელი...“

კვლავ ყორნისფერი,
თმები იშლება და ივერცხლება“.

აქ ნათლად ჩანს, თუ რა ხერხებითაა გამორჩეუ-
ლი პოეტის ხელწერა. არავითარი ილუსტრაციული



ნატურალიზმი არაა ისე შთაბეჭდავი და მეტყველი,
როგორც გულში გატარებული შთაბეჭდილების გად-
მოსაცემად ასეთი მეტაფორული სხარტი სიტყვები.

სამშობლოს გულწრფელი პატრიოტისა და
კოლხეთის მიწაზე გულისძარღვამდე შეევარებული
პოეტის ხმა ისმის ლექსში:

*

„ხსოვნის გალეულ ეპრანზე მოჩანს:
სოფლის ტალახი,
მარჩენალი ჩელა
და ლომა,
კოფოზე დროშად აღმართული ასკილის სახრე,
მოხუცი მამა,
თუთარჩელა,
ლამე, ურმული
და ურმის კვნესა,
ტყე,
მინდორი,
ცის თეთრი სახე –
დრუბლებით ოდნავ შეთალხული
და გამურული“.

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ძალუმად
გგრძნობთ იმ ჭეშმარიტი აზრის ძალმოსილებას,
რომ კოლხეთსა და კოლხს მარადიულობა დაანათ-



ლა ღმერთმა და პოეტი მთელი არსებით განიცდის
საქართველოს ტრაგიკულ წარსულს და ამბობს:

„...წარსულს ვაძოვებ ჩემს დამეებს, –
ოქროსფერ ვერძებს,
მე შორეული ლეგენდიდან
მოსული კოლხი“.

აღტაცებას იწვევს ვაჟა ეგრისელის ლექსების
პუმანურ-პატრიოტული მოტივი. „...და მე მუხლს ვიყ-
რი უველა ქართულ ციხის ნანგრევთან, ლოდს გულ-
ში ვიკრავ და სულ ვუბერავ“ – საქართველოს წარ-
სულისადმი მამულიშვილური დამოკიდებულების პო-
ეტური გამოხატვა უფრო მარტივად და ამაღლელებ-
ლად წარმოუდგენელია...

ვაჟა ეგრისელის პატრიოტული ლირიკის ოქროს
საგანძურში იმკვიდრებს ადგილს ის ლექსები, რომ-
ლებიც საქართველოს ისტორიული წარსულისადმი,
ქართული საბრძოლო დიდების ძეგლებისადმი, ძვე-
ლი ციხე-სიმაგრეებისადმი და მეციხოვნებისადმია
მიძღვნილი:

*

„მესმის ყივილი ციხის მცველების,
უდრიალი შუბის,
მტვრევის სმა ტარის,




ყოველ ნაბიჯზე,
ყოველ ქვასთან,
ყოველ უბანზე.
ასე მგონია გაიდება წარსულის კარი
და გამოჩნდება ხმალაწვდილი
მეფე გუბაზი“.

მგოსანს ისე უსაზღვროდ უყვარს სამშობლო,
რომ მისი მოსაზრებით ხალხისათვის თავგანწირვა,
მამულისათვის გმირულად სიკვდილი „დაბადების
დღის ტოლია“. მშობლიური ისტორიის ტრაგიკული
ეპიზოდების მძაფრად აღქმა მისი პოეზიის ერთ-ერთი
მთავარი ოქმატური რკალია. ვაჟა ეგრისელი წერს:

*

„ცისკრის ნათელთან
დამეები ჩამომეცრიცა,
დღეებიც –
ფიქრის კარში გადიან...
მე კი მამულის დაჭრილ გულთან
მივდივარ ახლო.
და... მერამდენე წელიწადია,
ჩემი სამშობლოს განრისხებულ
წარსულში ვსახლობ“. –





ეს ლექსი ადასტურებს, რომ პოეტი გულმოღინედ, საფუძვლიანად სწავლობს თავის ტანჯული ქვეყნის ისტორიას, რათა თანამემამულებს გაუცოცხლოს დიდი წარსულის ძნელი, სხივცისკროვანი ეპიზოდებიც.

ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მკითხველმა სწორად გაიგოს საქართველოს, მშობლიური ხალხის ავ-კარგი. პოეტი წარსულის დიდი მეხოტბეა. წარსული უყვარს იმიტომ, რომ „დიდი არიან საქმენი წარსულისა, იმიტომ, რომ იქ ბრწყინავენ დიდი გმირნი, დიდი მამულიშვილნი, დიდის ანდერძებით და სურვილებით გულატკივებულნი, დედა მის წარსული სიყვარულისა – მამულისშვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილი მეორის ძუძუთი. იგი წარსული უყვარს, როგორც ფუძე ჩვენი მომავლისათვის: „დიდ წარსულს დიდი მომავალიც ექნება“. ეს მოსაზრება შეიძლება მთლიანად გამოვიყენოთ ვაჟა ეგრისელის მიერ საქართველოს გმირულ წარსულისადმი მიძღვნილი ლექსების შესაფასებლად. ამ თვალსაზრისით ადსანიშნავია ლექსი „საქართველოს“.

*

„როგორ მაღლდები,
ოთხივ კუთხით ჯვარი გწერია,
მაგრამ მე ვიცი, გედგა ჟამი



ყოფნა – არყოფნის,
ამის მოწმეა კრწანისი და ველი მარტყოფის.
შამქორს!
მარაბდას!
დიდგორს!
ბასიანს!
ეჭ, საქართველოვ!
სხვამ რა იცის,
თუ რა ფასი აქვს“.

ეს ლექსი მარადიულად უკვდავ-უბერებელია, რადგან მასში პოეტმა, რომელმაც ჩინებულად იცის თავისი მრავალწამებული ქვეყნის ტრაგიკული წარსული, მისი გმირული ისტორია, დიდოსტატურად ასახა ლირიკული გმირის სევდა-ნადველი, სევდა-ვარამი, სევდა-კაეშანი. ხალხის ტანჯვა-ვარამთან ერთად აქ ჩაგვირისტებულა ტკბილ-საამური განცდები, გრძნობები, რომლებიც განპირობებულია საქართველოს სიყვარულით.

მეტაფორების მომაჯადოებლად გამოყენებით ვაჟა ეგრისელი ლაპონიურად აღწერს ხალხის თავგანწირულ ბრძოლებს მუხანათ დამპყრობლებთან, თუმცა მასში ამ ნიშანდობლივი ფაქტების აღმნიშვნელი ერთი სიტყვაც არ არის ნახმარი. მდიდარი ქართული ცივილიზაცია, მისი გმირული წარსულია პოეტის სულის ამაღლებისა და განწმენდის წყარო. მისი უწ-



მინდესი ამოცანაა მესეიერების ტოტალური ნგრევისა და სულიერი დაღტონიზმის პირობებში გადაარჩინოს და ცოცხლად შემოინახოს წარსულის განცდა. აზიაროს თანამედროვენი სიძველეთა მარადიულ მშვენიერებას:

*

„შიშსა და სიკვდილს რეკდნენ ზარები,
გაფითრებულნი იდგნენ ტაძრები,
ცის ქვეშ მზებად
დუდნენ ფარები.
რომ არ ენახათ მტრებს მათ ტანზე
ნაიარევი,
ციხე-კოშკები
სუროსა და ხავსს იფარებდნენ“.

ლექსის წაკითხვისას ვგრძნობთ, რომ ქართველი მამულიშვილები ყველა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში გულგაუტეხლად იბრძოდნენ და დამარცხების ჟამს მუხტალ მტრებს თავგანწირვით აფრთხობდნენ.

ვაჟა ეგრისელის ლირშესანიშნავი ლექსის „ქართველის წარსულის“ გულნალელიანი ლირიკული გმირი, ჩვენი ხალხის მეტისმეტად შავბნელ ტრაგედიას რამდენიმე სიტყვით აღწერს და გვარწმუნებს, რომ



ძველი, თანაც მძიმე ნაიარევის განკურვა თითქმის
შეუძლებელია:

*

„ჟამმა ვერაფრით ვედარ დანისლა –
ქართულ მიწაზე ყოფნა-არყოფნით,
ჩემი დიდგორი,

ჩემი კრწანისი,
საარაგვო და ველი მარტყოფის.
შუბლშეჭმუხვნილი,
მტკვარზე ქვლავ ტივით,
ქართლის წარსული დაიარება,
კი, დრო მკურნალობს,
მაგრამ მაინც,
ვერ ირჩენს ტკივილს
და სტკივა ძველი ნაიარევი“.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსში ჩახატული
არის შავბედითი ტრაგედია, ვაუა ეგრისელის ამ
ლექსით მოხიბდულ-მოჯადოებულია მკითხველი,
რადგან იგი გრძნობს ავტორის გულმართალობას,
გულწრფელობას, სიმართლისმოყვარეობას. პოეტმა
კარგად იცის ხალხში გავრცელებული აზრი იმის
შესახებ, რომ დრო (ყველაფერს) ყოვლის განმკურნა-
ვია, მაგრამ იგი ფიქრობს: ძველი, მძიმე ნაიარევის
განკურნება თითქმის შეუძლებელია. სწორედ ასეთმა



ლექსებმა ათქმევინა ცნობილ მწერალსა და მეცნიერს რევაზ მიშველაძეს:

„ნატიფი ხელწერითა და ნათელი სახეებით ჩამოქნილ-ჩამოგვირისტებული სხარტი სტრიქონები თითქოსდა ლიტერატურული ქამანდი გახლავთ, უერად რომ შეგაჩერებს, თავისი სიმოკლით და ლაპილარულობით ყურადღებას რომ მიგაქცევინებს, მერე უაღრესად თანადროული და ეროვნული პოეტური აზროვნებით გაიძულებს ჩამოჯდე და პოეტის ფიქრი გაიზიარო და მის სტრიქონებთან დამე გაათიო“.

ვაჟა ეგრისელი ის შემოქმედია, რომელმაც იცის ხელოვნების როლი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი არსებით იყოს მიმართული რეალურ და სააზროვნო სივრცეში მყარად ჩანერგილი ობიექტებისაკენ.

ამიტომაც უსაზღვროა და უნაპირო პოეტის წარმოსახვის სფერო. მისი ლირიკული პერსონაჟი წარსულის ღირებულებებს ისევე გრძნობს დიადი ზნეობრივი გაკვეთილებით, როგორც სინამდვილეს:

*

„ახსოვს ქართლის ცას,
 ქოველი ის დრო,
 ქართულ მიწიდან ქუდმოგლეჯილი
 გარბოდა მტერი ოხერ-ტიალი,
 და



სანამ ვსუნთქავ:

მარტყოფს და დიდგორს,
საქართველოს მტრებს, ვითარცა მუშტს,
ცხვირწინ ვუტრიალებ“...

ქვეყნის ტრაგიკული წარსულისა და გმირული
ისტორიის ფურცლები პოეტს იმდენად აინტერესებს,
რამდენადაც იგი დღევანდელობისა და მომავლის
განსაჭვრებად სჭირდება.

წარსული ეპოქების ამსახველი ლექსებით მდი-
დარი და უხვია ვაჟა ეგრისელის პოეზია. უკველი
მათგანის მოტანა ერთობ ძნელია. თითოეული ლექსი
სამშობლოსადმი გულწრფელ დადადისად და რწმე-
ნად გაისმის. პოეტის აზრით სამშობლო უმაღლესი
მშვენიერების ხატია. ის თავისთავადი მშვენიერებაა,
რომელიც ავსებს და ალამაზებს ადამიანის ცხოვრე-
ბას, ხოლო ნიშანდობლივი ის არის, რომ ცხადად
ვგრძნობთ ვაჟა ეგრისელის პატრიოტული განწყობი-
ლების ჭეშმარიტებასა და გულწრფელობას და ამი-
ტომაც დიდი სიმპათიით ვიმსჭვალებით მისდამი.

ვაჟა ეგრისელი მახვილგონივრულად ხატავს ვე-
რაგი გადამთიელის აღა-მაპმად-ხანის გამარჯვებას
კრწანისის ველზე. მტრების მაწყევარი მგოსანი რამ-
დენიმე სიტყვით გადმოგვცემს ობილისის ტრაგედიას
ლექსში „ეზმანება აღა-მაპმად-ხან“. ცნობილია, რომ
1795 წლის 10 სექტემბერს აღა-მაპმად-ხანი 35-ათასია-



ნი ურდოთი შეეხია საქართველოს, ერეკლე მეორემ ამ გათავსედებულ ბრძოს მხოლოდ 5000 მეომარი დაუპირისპირა. ცრუპატრიოტი თავადები და ბატონიშვილები მეფეს ხელს უშლიდნენ. ჯარის სიმცირის მიუხედავად, ერეკლე მეორემ მედგრად შეუტია მტერს. ქართველების თავგანწირული შეტევის შედეგად მტრის მეწინავე რაზმები განადგურებულ იქნა და გადამთიელთა ბრძომ მოკურცხდა, მაგრამ...

აღა-მაჭად-ხანი ფრთხილობდა: მრავალ ბრძოლაში გამოცდილი მხედართმთავრის – ერეკლე მეორის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი როდი იყო და მას წარმატება ექტენდოდა. სამარცხინო ისაა, რომ მოლალატებმა მტერს გააგებინეს: ერეკლე მეორეს მცირერიცხოვანი ჯარი დარჩაო. ამით გამხევებული აღა-მაჭად-ხანი მეორე დღეს, ესე იგი 11 სექტემბერს, დილით შეტევაზე გადავიდა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა თბილისის მისადგომებთან, კრწანისის ველზე, სამშობლოს დამცველები თავგანწირვით და უმაგალითო გმირობით ეკვეთნენ მტერს. რამდენი ბრძოლა გადამიტანია, მაგრამ არ მასხოვს, რომ ჩემს მტერს ასე ვაჟგაცურად ებრძოლოს უთქვამს აღა-მაჭად-ხანს. 75 წლის ერეკლე მეორეს უკანასკნელად გადაუტყდა ხმალი ბრძოლის ველზე. ფაფარაურილ მოხუც ლომს უკანასკნელად დაეცვითა კლან-ჭები... მემატიანენი მოგვითხრობენ, რომ მრავალ-თმრავალი მტრით გარშემოტყმულმა გიორგი გურა-



მიშვილმა თავის მებრძოლებს ომახიანად მიმართა: „ქართველებო! მმებო! ცხადად ვხედავთ, რომ აუცილებელი სიკვდილი მოსულა ჩვენზე, მაგრამ ესეც შეგვიძლიან, უნამუსოდ დაგნებდეთ ყიზილბაშებს, აბა რომელი გინდა? სახელით სიკვდილი მამულისათვის, თუ უნამუსოდ სიცოცხლე? ყველამ ერთხმად უპასუხა: „ჩვენს მამა-პაპათ უნამუსობა არ უქნიათ და ჩვენც იმათი შვილები გაროთ: სიკვდილი გვირჩევნია უნამუსო სიცოცხლესო“: ქართველები დამარცხდნენ.

ეს საშინელი და შემაძრტუნებელი ფაქტი, უბედურზე უბედური ფაქტი ჰქომარიტი მამულიშვილური გრძნობითაა გაცხადებული ლექსში „ეზმანება აღამაშმად-ხან“.

*

„ჩემი თბილისი...

მოვარე...

ჩრდილთა ფიანდაზებით...

მტკვრის „ბუბუბუბში“ კი
ისმის ციფი ხმები
საზების.

დუმს შაგნაბადა...

დუმს მეტეხი...

დუმს ნარიყალა.

თუმცა მტერზე ჯავრი ბევრჯერ იყარა.



კრწანისის ველი,
რომ შეკროება
ძილში ხანდახან,
ო, ალბათ დაღლილს ეზმანება
ალა-მაჟმალ-ხან!“

ვაჟა ეგრისელმა საქართველოს ისტორიული წარსულის აბჯარასხმული წინაპრების კოლორიტული გალერეა შექმნა. ქალსაც და ქაცხაც ძლიერი გრძნობით გვიხატავს, რომ სამშობლოს სიყვარულის ტახტრევანზე ორივე გმირადაა ქცეული. ეს ჯანსაღი ვაჟაცური სული ტრიალებს მათ არსებაში, როგორც ეგრისელის სხვა ლირიკულ შედევრებში და ყველგან ლირიკულ მინორს თან სდევს ლირიკული მაჟორი. მინორისა და მაჟორის ასეთი ორგანული ერთიანობა ვაჟა ეგრისელის პოეზიის ისეთივე დამახასიათებელი თვისებაა, როგორც იგი გვხვდება ლექსში „შავლეგო“, სადაც თითოეული ქართველი-სათვის ცნობილი – მამულის სიყვარულით გაბრწყინებული კრიალოსნის მძივებია ასხმული.

უნდა ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის შემოქმედება ოქროს საბაიდოა, რომლის მასშტაბი გასცდა ეროვნულ საზღვრებს და შეიჭრა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, სადაც ჭეშმარიტი ხილვის ელვარე მარგალიტები მიიტანა.



როდესაც ვაჟა ეგრისელის ერეკლე მეფისადმი
მიძღვნილ ლექსებზე ვმსჯელობთ, აუცილებლად
გაგვახენდება გრიგოლ ორბელიანი, რომლის ჭეშმა-
რიტი განაცხადით:

„აჲა, იგერის ნუგეშ-დიდება
თავისი დროით გამშვენებული,
მამაცთა შორის საკვირველება
პატარა კახი მეფე ირაკლი“.

ერეკლე მეფე დიდი მამულიშვილია, იგი მარად
თაყვანსაცემია, გვარწმუნებს გრიგოლ ორბელიანი.

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



* * *

მოგწყინდა ყოფნა დედამიწაზე,
ცად ხეტიალი
შვებას განიჭებს,
სივრცეებს ციკ ხელებს გართმევენ.
გადაბიჯე მთვარის –
კარიბჭეს
და მეცხრე ცისკენ მიემართები.

1965

კალიგრაფია

იმპერატორი იყო უბულო,
და ქვა იგულა,
კალიგულამ.

1988



იქ,
ციხისძირს,
და აქ –
ერტისს,
ცხუმს და ეგრისს,
პერეთს, ხერთვის,
ვით წილხვედრი მიწა დმერთის –
ქვეყანაზე
ერთადერთის,
საქართველოს ლურჯ ცას ერთვის.

1978



ცივ და შორეულ ზღვის სიცივეში,
 დაფუსფუსობენ ციცქა
 ტალღები,
 როგორც ფუტკარი ახალ ნაყარი,
 ელვამ ცას როცა მიუალერსა,
 მაშინ ღრუბლებმა
 კვლავ ატეხეს აყალ-მაყალი.

1978



მთვარის ჭამარი

ცის სიჩუმეში მსხდარი ღრუბლები,

თეთრი წვერებით –

ღმერთებს ბაძავენ

(შორს,

სადღაც დილას ჭედავს მზის გრდემლი)

და ელავს მთვარის თეთრი ტაძარი,

სადაც ვარსკვლავთა

ლოცულობს მრევლი.

1975



სიყვარულის ხე

ცხოვრება ტყე არის უდაბური,
 სად ჟამნი არყოფნის ხმას
 აწნავენ,
 სიცოცხლეს ეშინია და... ციგა,
 სიყვარულის ხე –
 არის მარადმწვანე,
 სიძულვილის
 ფოთლები ცვივა...

1991



ცისა და მიწის ამტვრევდნენ ქარებს...
და ღრიალებდა ათასი მხეცი
ზღვა სელშეკრული,
ვითარცა ქრისტე,
ხმელეთზე, როგორც გოლგოთაზე
აყავდათ
ქარებს,
რომ ჯვარზე ეცვათ.

1988



მერცხლები

მთებს და ზღვებს გადაუფრინეს
 მერცხლებმა –
 მამა – უფლის
 ფრთოსანმა ანგელოზებმა,
 როცა არ შერჩათ ობსილა,
 საწყალობელად შესწივლეს
 სივრცეებს შავით მოსილებს
 და ქარებს
 თმაგაწერილებს.

1961



იქნება ასე:

მეწვევა დამე,

იგი ჩემი ძმა ყოფნას

ინებებს...

მარადებამს პნელთან მექნება დავა,

და... სამარეში ყოფნა

მარტო მომეწყინება

მაგრამ სად წაგალ?

1995



ზღვიდან ღრუბლის –

შავი კამების,

შორეული ხმები მომესმის...

დამის მორევში,

წერტილივით მოჩანს მთის წვერი,
კიდობანია მთვარე –

ნოესი,

გარსპელავთ წარდგნაში რომ მიირწვევა...

1956



ზღვა ჰგავს მძინარ ლომს,
და მდინარე მოუჩანს კუდად,
წყვილი შუქურა თვალებად ბრწყინავს,
და როგორც ახლა,
ო, მასში მუდამ,
ავისმომასწავლებელ,
დუმილის ქარიშხალს სძინავს.

1990



ეცადნენ და...

სიკვდილს თავი

გერა და გერ ააცილეს,

შენ კი დგახარ...

სამარეშიც გააციებს:

სარკინოზებს,

სასანიდებს,

სპარტელებს

და სარაცინებს.

1957



შემომეხარჯა ეს დღეები
ხურდა ფულივით,
სიცოცხლეს მაინც მე არ ვუჩივი,
ტპბილიც და მწარეც ჩემი წილი
ორივე
შევხვი,
ჯერ არ მოვმკვდარვარ...
და გარ
მუნჩქივით,
მაგრამ დების მომავალი კივილი მესმის.

1994



სათაფლიასთან

უამი კბილს-კბილზე აცემინებდა,

იყო ციება...

იყო ხურება...

წლები წლებს სდევდა ბედშავ ყულებად,

და, მიღიონი წელიწადი —

გაოცებულ ცას შეჰყურებდა,

სათაფლიასთან დინოზავრის ნაფეხურები.

1978



უკოცნის ზვირთთა გაშლილ დალალებს,
გნებათა დელვის ამწყვდევს

ბადეში,
და ზღვა,
ქარიშხალს
ნამუსგარეცხილს,
ნათრევს დღისა და დამის ბორდერში,
კვლავ უსირცხვილოდ
უყოფს სარეცელს.

1984



დილის მზის ვარდისფერი მაჭარი,
 მთელი დღე,
 ნელ-ნელა ღვინდება,
 ზღვას კი როდესაც ქარიშხალის მუზა
 მოუგლის,
 მოულოდნელად აჭიხვინდება,
 ვითარცა ლურჯა –
 ყაბარდოული.

1958



პოლს ჭინაპარს

ხუთხე მეტი ათასეულ –
წელთა იქით გიდგას ფეხვი,
საიდანაც შენი ენის,
მძინარ ენის სუნთქვა მესმის,
და მთებს და ზღვებს გადავყივი:
საითა ხარ, ჩემო დვიძლო,
რომ კოლხური
უუძველესი,
გზის წარსული გაგიღვიძო.

1967



დიდი რუსთაველის სახე,
 წინ მინთია, ვით ლამპარი,
 მაგრამ დავრჩი არას მქონე
 და ვერაფრით დავემსგავსე,
 ვერც ავთანდილს, ვერც ტარიელს,
 ჩემი დიდი წინაპარი,
 თუ მიმიღებს ხელცარიელს.

1998



სძინავთ მთებსა და ჭიუხებს,
ფშავის ჭალაში არაგვი,
გულწასულ ლოდებს ასხურებს
ჭავლს და წყლის სულსაც უბერავს,
აგე,
დვიაც და ბუერაც,
ნისლის პერანგის ამარა,
ეძებენ გაუას სამარეს.

1966



ბუდედანგრეულ ყვავის ყრანტალით,
 ცას გადაუფრენს ფრთხები
 დაისის
 და ჩაეშვება ქედებში თორსის,
 წვიმის მერეხში –
 უცხო ხმა ისმის,
 ვაჲ,
 ზარი თუა მეორედ მოსვლის!

1981



გამოქვეყნისას სანაპიროზე,
ელვის ნალებით –
ჩამოიქროლებს ქარი ეტლივით,
სიბნელეში კი ზღვა აღრინდება,
ვითარც მხეცი,
გადიაში გამოკეტილი.

1970



პოეზიის უდაბნოში -
საუკუნის წევს არილი
და ნახტომი ჩანს ვეფხური,
უკვდავება მწევარივით -
ყნოსავს შენს ძველ
ნაფეხურებს...

1992



ზღვა,

გაჩენიდან ტყვე არის მიწის,

ცა,

მისი ცოდვის კოცონზე იწვის,

და მოჩვენებით ღიმილის მჩენი,

ეამს მიმწუხრისას,

მზეს უგზავნის ერთგულ შეგირდად,

ზღვა, გითარც ყურშა,

მიწის კედელს ტალღების ენით
ლოკავს, სურს თავი გააღწიოს ბნელ
დოლეგიდან.

1962



ღამეა...

ზვავთა დაფდაფი
და ჩანჩქერების ნაღარა –
მძინარ ჭიუხებს აფეთებს,
უხდებათ თოვლის ჭაღარა
ბუმბერაზ მთების საფეთქლებს.

1959



“სვანური ზარით” –

ცას ღრუბლები დაიტირებენ,
მიწყდება მწუხრში

თოლიების

წიგილ-კიგილი
და სიგრცეებს ღამე დაბინდავს,
ქარის ნელ ცეცხლზე ზღვა ადუდდება,
გადმოიდგრება მზით გამურულ
მიწის ქვაბიდან.

1977



შენმა სიცოცხლემ აფრა აუშვა –
 მარადისობის მგრგვინავ ზღვაზე
 სახეტიალოდ,
 ანძაზე სხედან დღეთა ჩიტები,
 უკან სიკვდილი მოგვდევს ტიალი,
 წყალწადებული ხავსს ეჭიდები.

1990



ცის უკვდავი ბინადარი,
ქარგად ვიცი
თუ ვინც არი
და ამიტომ შევიყვარე,
არც ვერიდე,
მხე და მოვარე,
და-ძმაა,
და ტყუპისცალიც,
გით დიადი აპოლონ და არტემიდე.

1969



მომეგება ხელგაშლილი,
 მერე უცებ,
 კით ბადიშმა,
 არც აცხელა,
 არც აცივა:
 უსიტყვოდ და უბოდიშოდ,
 ზღვამ ზურგი შემაქცია.

1990



ნეპვრჩხლის ხე


ტყისპირას მდგარი ხე ნეკერჩხალის,
რომელსაც თავზე ყანჩების ბუდე
შემოუდგამს
გითარცა ბოლჩა,
წელსქევით თოვლის თეთრი სამოსი,
ხოლო წელსზევით
ტიტველ-ძიშველი
ინდიელივით მოჩანს.

1961



ცის სილაჟგარდით გადაქანცელი
და უსამანოდ გაშლილი ფრთებით,
ქვიშის და ღელვის სავსე მუჭებით,
რომ არ ჩასძიროს ქარმა
მორევში,
ატირებული ტალღა ნაპირს ებდაუჭება.

1977



მენავეთათვის და მოგზაურთა

ვარსკვლავებს ღამე როს გააჩადებს,

უცებ იკივლებს ფიქრში

“ყაჩაღი”

და ჩამომკივლებს: “ბიჭო, როზგები!”

შენ ამბავს ჰყვები...


და თან დაურთავ:

- გესმის?

მღერიან სირინოზები,

“მენავეთათვის და მოგზაურთა”.

1991



მოულოდნელად წაუკიდა ცამ
 ელვა ღრუბელს,
 კით პეტს,
 აბედი,
 მუხის ჩრდილქეშ დამჯდარმა გლეხმა,
 წაიძუგბურა რაღაცა მეხმა,
 წამოცდა ქარი ზღვას
 უცაბედად.

1959



მნათობების ყრია მტვერი...
მხოლოდ ღმერთმა იცის,
პოეტს,
თუ რამდენი უთევია,
წარღვნის ღამე, როგორც ნოეს,
მთვარე,
ცას პგვის უთენია,
გით ნიკალას “მეეზოვე”.

1990



ქორფა კიტრით და მწვანილით,
 წყნეთელმა თუ წავგისელმა,
 ჩაიარა ბინდში გლეხმა,
 პურტნად აღარ ღირდა ვირი,
 ღამე ცას კი
 შუაზე ხერხდა,
 თეთრი მთვარის –
 ბირდაბირით.

1958



თუმცა, თავს ზოგჯერ უკვდავებს ვადრი,
და მაინც ვიცი გვიან თუ ადრე,
იგი ძმა,
უცებ მომიღებს ბოლოს,
რადგანც არა,
რაიმე სხვით,
არამედ მხოლოდ,
მხოლოდ და მხოლოდ,
გარ მოწამლული ქალით და...
ზღვით.

1989

შენ სიყვარულის ცრემლით რომ
რწყავდი,

ის ტვის ბუჩქი,

რა უცებ გახმა,

ეპიტაფიაც წაშალა თოვლმა,

და სასაფლაოს ბილიკზე ახლა,

ათასში ერთხელ

დაღოდაგს ხსოვნა.

1988



პირამიდები,
აკლდამები,
სარკოფაგები...
გარდასულ ჟამთან მუდამ მამონებს –
ელვარე ლანდთა,
ეს პანთეონი,
ცისკენ მეწევა ტუტანხამონი
და...
შემოხედვა მაკრთობს ნერონის.

1960



ღამე ბნელის მომკვლელი და,
დღე სინათლის მოქსველია,
შორეული პლანეტები –
დღის და ღამის ფეხებია,

და...

გზიერი ვარსკვლავები,
კვლავ მთვარის ჯამს შესევიან...

1966



უკვდავი სულებით დასახლებული

ცა –

ჩვენი სახლია

მამა-პაპეული,

ამშვენებს გარსკვლავების ოქროს

რიგულები,

გადმოდგებიან –

ჩვენი წინაპრები

და გათენებამდე გვიყურებენ.

1964



სიტყვა დმერთია,
 სხვა არარაობს,
 სამყაროს ძირი და ფესვია,
 გაზაფხულიც არის და ზამთარიც,
 და...
 უსამანო პოეზია –
 ჩემი საერისთავოა და სამთავრო.

1995



რვაასი წელი

ლეგენდებით და მზით დალურსმული,
მარად მნატვრელი
მშობლიური ცის ათინათის,
რვაასი წელი თავმოუხდელი,
რვაასი წელი სულმოუთქმელად
(ვითა ავთანდილს მოელოდა
მზე – თინათინი),
გელის,
გეძახის კუბო რუსთველის.

1994



ღამის გაუვალ ტევრში მოჭრილი,
 მთვარით გასხლული წენელი
 მზის სხივის,
 ცის მოჩარდახულ კარებს აღობავს,
 და... დედამიწის ფერხექვეშ იმსხვრევა,
 ზღვის სიდიადე და
 ქედმაღლობა.

1957



წუხილით გადაბინდული,
საუკუნეთა მთები და
მინდვრები გადმოიარა,
ქართლის ცას მწუხად რომ შერთვია,
წარსულის ღრუბელი კი არა,
ქეთევან დედოფლის
ფერფლია.

1958



ჩვენი მაშვრალი მამა-პაპანი,
სიცოცხლეს რწყავდნენ
ჯაფით და ოფლით,
უღელს შებმულნი ნიკორა ხარად,
მერე დადლილებს
“ამ სოფელში”
მოსწყინდათ ყოფნა,
და...
“იმ სოფლისკენ”
გაუდგნენ შარას...

1984



სხედან მოწყენილ სანაპიროზე –
ლანდები ჩუმი
და მორიალე
და ქარის დადგმულ სპექტაკლს უსმენენ...
ბობოქრობს ზვირთოა
იარუსები
და ზღვის დარბაზი ქუხს და გრიალებს.

1958



აღარ მშორდება ფიქრები შენზე,
მეხვევა ისევ,
კითარცა მუმლი,
და სიყვარულით გარდაცვლილ წუთებს,
ხსოვნის კუბოში ვაწვენ
და კუპლი
და დამეს ვუთევ.

1990



ა. სარკა

BEIVEDEPE*

ათასქარიშხალ გამოვლილებმა –
სიმყუდროვეში
მდგარმა ღრუბლებმა,
როს ვარსკვლავების ზარი დარეკეს,
ვნახე:
იალბუზს,
ლურჯი ცის თაღი,
“მხრებზე შეუდგამს, როგორც პერაკლეს”.

1988



ტკბილი როგორც გოლეული,
 ის დღეები
 რადა იქნენ?
 ხან სიზმრიდან,
 ხან ძილიდან,
 სიყვარული სელებს მიქნევს,
 შორზე,
 შორი მანძილიდან.

1971



ღამის მოწყენილ სიმარტოვეში –
ისმის ზღვისა და
ქარის გოდება...
ნისლის თეთრ ფაფარს ჩაფრენია მხედარი
ქაფის,
და ერთი ტალღა,
მთვლემარე ნაპირს,
კვლავ ფეხაკრეფით უახლოედება.

1989



არ ვიცი რატომ,
ჩვენ გვავიწყდება
(ჩვენ წინაპრებსაც ფეხზე ეკიდათ!)

სიცოცხლის სტუმრად
რომ ვართ მოსული,

ადრე თუ გვიან,
გაგვიტყუებს ამა ქვეყნიდან –
სირინოზების ხმა ჯადოსნური.

1994



გარდობის თვეს მოვლენილი,
როცა “წავალ”
კვლავ მაისში,
ო,
მაშინ ზღვა,
ასე მჯერა:
პირს გაიხოკს...
ომას გაიშლის...
შემოიხევს ქარის პერანგს...

1961



მოულოდნელად გამბურძგლავს შიში,
 გამეყინება სისხლი და
 ძარღვი,
 და ჩემში მაღალ ძაბვას ატარებს:
 გამოენიისას ყმუილი ძაღლის,
 გადაფრენილი ყვავის
 ყრანტალი.

1957



ამირანთან ნაომარი დევებივით
სულთმობრძავი და მოკლული
ზვირთები აქ ბლომად ყრია...
ქარიშხალს ზღვა სადღაც მიაქვს,
ვით გლეხს ფუთა,
თოხის ტარზე გამოკრული.

1967



მე არ ჩაგრექი,

მაგრამ ბევრჯერ

შავი სამარე –

ზღვის ფსკერზე მომცეს და გამითხარეს...

და, მხოლოდ თავზე ხელისაღება,

სხვა რა მასწავლეს,

აბა მითხარით,

ქარების ურდომ... და გელურმა, გიუმა

ტალღებმა.

1977



ნამტირალევი ცა,

ქალწულივით,

წვიმის საგარცხლით ისევ ივარცხნის –

ცისარტყელას ოქროსფერ ნაწნავს,

და, ანაფორით არ ჩანს ღრუბელი,

ჩამავალმა მზებ,

ზღვას ხელი დასწვა,

და ახლა ქარი სულს უბერავს...

1964



ცის შვილია და მიიწევს ცისკენ,
 მზეს ეტრფის,
 სული ელევა მისთვის
 (არ ემეტება მთაცა და ხევიც),
 დილით,
 ცვარნამით დაბანილი
 ხატულა ნისლი,
 მზეს ეგებება პეპლის ფრთების მსუბუქი
 რხევით.



პოი,

რამდენჯერ დედებს ქართლისა,
შავად უქციეს თეთრი მერდინი
და სისხლის ცრემლში ბანდნენ
ნიადაგ...

ბედი ჰქონიათ მაპ-მაპად-ხანებს,

ჯალალედინებს,

ქვეყნად მოსვლა რომ დამაგვიანდა!

1959



როცა შეცურდნენ წყალში ღრუბლები,
 აიწია და დელვა
 მოდიდდა,
 მიმწუხერს თოლიები ვალალებდნენ...
 ზღვამ,
 ზფირთი არა,
 აფროდიტამ,
 უპან გადაყარა დალალები.

1961



0ლ01

მილიონებში გაიგო ერთმა,
რომ შველა უნდა
“ერს გულადს,
პურადს”,
და შუბლზე ტყვია, სწორედ მას ერგო,
სხვამ კი, არავინ არ იღო ყურად,
“ბუტბუტი მტკვრის” და
“ღრიალი თერგის!”.

1991



შორეული წარსულიდან მოსულ

ზეირთების,

მოისმის პოხი ხმა –

ქართველური

(გავცელი ღელვას, ვით ჰამილკარი)

მიკვირს,

ასე რამ გადგელურა

ზღვა,

თვისტომს ახლოს რომ არ მიკარებს.

1959



დილით,

მზე ცეცხლის ფაფარაშლილი
დაიჭიხვინებს, როგორც მერანი,
და გადმოაგდებს ღამის
ყიამეთს,
ზღვასთან მივდივარ –
ზღვის მომდერალი,
რომ გავიგრძელო წუთი სიამის.

1986



რა ქნან,
 არ შესწევთ დონე და ძალი,
 ქათქათა თოვლში
 რომ გაიარონ,
 და მთები ჰეგანან ფეხმიმე ქალებს,
 რომლებმაც უნდა გაზაფხულზე –
 მდინარეები იმშობიარონ.

1958



როს მოესმა მზის ძახილი,
მზის კი არა,
ამირანის,
მაშინ მთვარე, ვით ყამარი,
გადმოდგა ცის ლურჯ
კოშკიდან –
ლამის პერანგის ამარა.

1956



აგვისტო ზღვაზე

იწვის და...

მიწის კვნესა მოისმის –
 სხივები სიცხის ფეხებს აჭერენ,
 და მზე ტივტივებს ზღვაში ბოთლივით,
 ქარმა ნაპირზე ამოაგდო
 ტალღის ნაჭერი –
 ფერად კენჭებით შეფოთლილი.

1962



წუთი რა არის,
უნდო დღეებმა,
ქვეყნად წამითაც არ მანებივრეს,
და როგორ მსურდა თვალის შევლება,
ო, თუნდ შორიდან,
ერთხელ მეხილე,
რადგან შენ უწყი,
რომ ჩემი ხმა გადაევლება
საუკუნეთა უდელტეხილებს...

1995



ზღვიდან ამოსული ღრუბლების ჯოგები,
რომ მიჰყებიან

წვიმიან გზებს,
აატალახონ სამყარო ლამის,

მთვარე -

დარდია უძილო დამის,
ცის ოცნებაა -

მზე.

1957



თვლემს დედამიწა ძილის მკლავებზე,
მაგრამ ნათელი,
დამეს ჯიქურად
ეპარება და დაბლა ეშვება,
და მნათობებით ცა მოჭიქული –
ოქროს თეფშივით
თავზე მეფშვნება.

1987



წამოწოლილა მთა მხართეძოზე,
 ზღვა კი არ იშლის
 არასდიდებით,
 ქარის ლოგინზე მარტოდ კოტრიალს,
 და ვარსპელავებიც,
 როს შებინდდება,
 ნაპირზე მიყრილ ზვირთებს კორტნიან...

1988



თოლი

გით ღობემძვრალა,
გაფაციცებით,
უცხო სახილველს დაეძებს თოლი,
ნახა:

მთვრალივით აგდია ქუჩა,
რომელსაც საბნად ახურავს თოვლი
და ჭუჭყიანი პერანგი
უჩანს.

1987



* * *

დასავლეთიდან ღრუბელი ერთი,
სიჩუმის მტვრევით ჩამოგორდა,
გიო დათვის ბელი,
ცამ კოპი შეჭკრა და შეიყარა,
ქარმა კი ტალღას იღლიაში
შეუყო ხელი,
გითარც აკვნის ბავშვს,
და ნაპირზე ამოიყვანა.

1991



ჩემი სიცოცხლის მზე ბარჩხალებდა,
დედური გულის სითბო ახლდა
დედურ ბარათებს
და უცებ...

თავზე მეხი აგრგვინდა!!! !!!

მაშინვე,
განა კვირის ამასწორს?
მე გავეშურე სანახავად,
მაგრამ რად გინდა,
სიკვდილმა ერთი ფეხით დამასწრო.

1983



მთვარიანი ლამე

მხოლოდ მთვარე...
 სხვა არავინ –
 ქვეყნად მე არ მაბადია
 და დამეებს არ მითევს,
 ვზი მუხისქვეშ...
 დაბლა გდია,
 რკოს პატარა სათითე.

1954



ქარი,

ღრუბელზე ამხედრებული,
ზღვას წინ მიუძღვის ამირბარივით,
ნაპირისაკენ იჩქარიან ზეირთების სპანი,
და მიიმსხვრევა,
როგორც მარილი,
გაშეშებული რიფების ტანი.

1969



ფოთლები,
 ყვითელ წიწილებივით,
 მოსტაცეს ბაღებს
 შემოდგომის დღეთა ქორებმა,
 ახლა,
 ობოლმა რა ქნან ატმებმა,
 ნიავის ერთი ჩამოქროლება
 და შაშვის კვნესა
 რომ ენატრებათ.

1980



ვარნავაზ, ძუჯი

თავზე ექცევა ციხე და ბურჯი
ქართლსა და ეგრისს,
ძვირფასი ეგზომ,
და ხმება ნერგი, და ხარობს აზო,
ამდენ სისხლს და ცრემლს –
გერ პგუებს ფუნჯი
და... ჩვენ ვართ მარტო,
სამი ათასი წლის მერე გნატრობთ –
ფანავაზ!

ძუჯი!

1995



ამას არ უნდა დასტურლამალი,
 წუთისოფელი
 რომ საკირეა,
 ბნელ წარსულიდან ისევ მოისმა:
 “ოი, სტიროდეთ მათ,
 ვინც სტირიან,
 მდინარეებზე ბაბილონისა”.

1967



მოწყენილ ღრუბლებს ელგა კისკისით,
ცელქი ბავშვივით
ცხვირწინ გადურბენს,
სურს გააპრაზოს...
და არ ეშვება,
ზღვა ზვირთთა მუშტებს უდერს ნაპირს
და გავეშებით
ხმელეთისაკენ მოიწევა მოსრის
წალილით.

1992



გზის მეტი რაა...

ქინქლებივით ირევა გზები,

მაგრამ ერთია შორს მიმავალი...

დაიმახსოვრე ეს, შვილო, დაჩი,

ჩემს დროს,

ჩემს გარდა,

პოეტები იყო მრავალი...

მე ერთი

დავრჩი...

1985



დრო მოვა,

როცა დაფანტული

შენი დღეები,

საუკუნის მძიმე წიგნად აიკინძება,

რადგან მგოსნებში ბადალი არ გყავს,

რადგან გირწევდნენ

მთოვარის აკვანს –

ოქროსთმიანი ვარსკვლავები –

შენი ძიძები.

1995



ზღვა ქარიშხალში მიიქცეოდა,
 ჩანდა,
 არ ჩანდა რხევა
 ქოჩორის,
 არ ითლებოდა კუბოს ფიცარი,
 ნაპირთან ზვირთოა იდგა
 ჩოჩქოლი,
 ერთში სიკვდილის ხმა შევიცანი.

1988



პატარას,
შენთან შეთამამებულს,
შთამაგონებდნენ:
წუთისოფლის
რომ ვართ სტუმრები,
და სიახლოვეს, ზღვაო,
შენსას,
მუდამ მიშლიდნენ,
მესმის ყოველი... “დიდიც” შენთან
მოვეშურები,
რომ შენს ხმაურში ვპოვო სიმშვიდე.

1992



სინათლის მიღმა არ ჩანს სამანი –
 არსებულის და
 არარსებულის,
 ყოფნას შესტირის ჩემი ებანი, -
 სურს –
 სიყვარულად წიგნში ჩაკრიფოს
 ქართული სიტყვის
 საოცრებანი.

1988



ანგელოზთა საქმეს ბჭობდი,
კვერთი გეპყრა,
და გიცანი,
მაგრამ აღარ დაგენახე,
რადგან ვედარ დავიცავი
ლმერთო,
ჩემი სავენახე.

1990



ეურს უგდებს ბებერი ღამე,
 ცის კარზე
 მნათობთა კაპუნს,
 და თვალით ვერაფერს ხედავს,
 მე,
 ქვიშის აგვანში ჩაკრულს,
 ამოვა,
 დამხედავს სიყვარულით,
 ხლება, -
 ჩემი ბრაზიანი დედა.

1986



ღიად დარჩენილ ფიქრის დარბაზში,
დღეები სხედან,
როგორც ხასები,
რომ მათზე დარდით აღარ ვიძინო,
ჩემი წარსული თავს
კვლავ მახსენებს,
სიკვდილის წუთი რომ დამიმდიმოს.

1995



ხშირად,


სიჩუმის ბნელ ქარქაშიდან –
ამოწვართავდა ელვის მძიმე მახვილს
ღრუბელი...

ახლა დუმს სივრცე ბრძოლით
დადლილი...

და დანებების ნიშნად დამემ
ცის ქონგურიდან –

მთვარის ნათელი გადმოკიდა
ბაირადივით.

1991



იქმან ნათელი

ქართული აკვნით ნარწევი,
ათასი დამენათევი,
უფალო,
შენ დამილოცე,
ეს წიგნი “იქმენ ნათელი” –
ჩემი სიცოცხლის –
სიცოცხლე.

1993



დგას ცისარტყელა მოხრილი,
ალბათ გაუჩნდა
წელკავი –
მის ფერებს სანეტაროებს,
ჩვენ კი სიმინდის ტაროებს
ვწვავთ...
ნაპერწკლები ცეკვავენ...

1980



Digitized by srujanika@gmail.com

როდესაც მოვა საღამო ისევ,
ცაში თამადად
დაჯდება მთვარე,
გარსკვლავთა მრევლში რომ მოილხინოს,
მამალი ყივის...
და ყივილი იგრძელებს კისერს,
დამის წყვდიადში მზე რომ იხილოს.

1995



სოფლის ხსოვნის –

დიდ ურემში,

დედა, ისევ ვარ შებმული,

და კით მაშინ,

კვლავ მანჯღრევენ,

ლექსით მოწუქურომებული

ჩვენი სახლის კარ-ფანჯრები.

1979



ვითომ ადღერძი

იქ გამითხარეთ მიწა,
სადაც მშობლები წვანან,
ამინთეთ პატარა კვარი,
მიმღერეთ მეგრული “ნანა”,
მითხარით სვანური “ზარი”!

1995



ცივ სიჩუმეში წოლით დაღლილებს,
 აღარ აცვია ცრემლის
 ზეფირი,
 აშ მათ არავინ არ ელოდება,
 დაცქერენ ჯვრები –
 ხელდაკრეფილნი
 და დავიწყებას სდუმან ლოდები.

1989



ათასწლეულთა მოვალო იქიდან –
ცრემლით,
სისხლით და
ომით დაღლილი
და არსოდეს შეგვიცვლია ენა და
მრწამსი,
და არაუშავს სვეტიცხოველს,
გრემს და საფარას,
ვიდრე ამ ედემს –
არყოფნის ხავსი,
და დავიწყება არ გადაფარავს.

1964



ღამის ხეივანს მიჰყვება მთვარე,
 უჭირავს მნათი,
 სულ ერთი შეკვრა,
 მაგრამ,
 თავს მაინც გრძნობს ისე ლალად,
 როგორც მიმწუხრის ზარების რეკვა,
 როგორც ნაპირი,
 და როგორც ტალღა.

1981



არსენა ოძენაშვილი

წევთი,
სოფლად აღარ მაცლის
ყოვნას,
ხანჯალს მიტომ ვლესავ...
ლარიბ-ლატაკს ვეყვარები,
ვფიცავ დედაჩემის მზესა,
ერთი გავარდნილი კაცი,
ტყეში ისევ ვეფარები –
უკვდაევბის მაღალ ხესა.

1992



ଓଡ଼ିଆ ମେଡିକୁଲିନ୍

შუაკერასთან ტრიალებს ტყის სულ,
შეშა იწვის და
გაუდის გრიალი,
კვამლი ცად მიიწევს...
ფერს კარგავს ნაცარი,
ალი ენას უყოფს,
ნაკვერჩხალი თვალს
აბრიალებს,
ცეცხლი ქალწულივით ტკარცალებს.

1955



საიდანდაც მოვარდნილი,
ქარიშხალი ხელებს უხსნის,
სიმყუდროვის ჭერს
და ერდოს,

მეხს კი უნდა წვიმის ლურსმნით

ცა —

მიწაზე დააჭედოს.

1963



* * *

აპრილივით თეთრებს ვიცვამ,
როცა ბოლი ასდის
ჭერმებს,
როცა ვისმენ, მე “ყმის მღერას”,
მზით დაჭედილ
მთვარის მერანს –
გარსკვლავებზე დავაჭენებ...

1966



თავზე წამომდგარ მთის სიდიადეს,
რომ სცეს თაყვანი,
ზღვა უკან იხევს,
თუმცა ზოგჯერ კი გულდაწყვეტილი
(როდესაც ხელში უნდა აყვანა)
ანჩხლი ბაგშვილით ქლდექძს შესტირის.

1964



პოლიპიმნია


ნათლითმოსილმა პოლიპიმნიამ,
სამარადისოდ რადგან
მიშველა
და საწყაული სიყვარულით რადგან
მეგსება,
ლექსებით ვხდები ავად
ხშირ-ხშირად
და ვიკურნები ისევ ლექსებით.

1993



მზე მეფის,
მგოსნის,
ერის თუ ბერის
წყვდიადში შავად,
ჩასულა ბევრის,
ჩემი მზეც ჩავა.

1995



მოკვდები...

სიკვდილს ვედარ ავიტან
და მე სიცოცხლეს –
ავლავ ვემსხვერპლები,
და მტკვრის ნაპირას...
და ნაპირას განგის,
ევფრატის,
ჩემი არ ყოფნა სულ იფარფატებს,
ჩუმ და უმწეო ფრთებით –
პეპლების...

1995



ვით მუხრან-ბატონს,
ჩაუხეტენ სიკვდილს,
წინაპრები და უმტკრიეს კარი,
რადგან სიცოცხლეს იგი უშლიდა,
ახლა დაღლილებს არ ადარდებო
წვიმა და ქარი,
ჩემს ხსოვნის ფსკერზე სხედან
გულმმეოდად.

1986



ALBERTSU

დაუურველი ცეცხლი და გზნება
 და სივერაგის
 ბურუსი ცვივა,
 როცა უდაბნოს გაიზმორებენ...
 და რომ ბრდღვინავენ,
 ო, ალბათ სტკიფათ —
 ლომებს —
 ფაფარი,
 ვეფხვებს —
 ზოლები.

1956



მყინვაროვანი

სამოთხიდან გამოგზავნილს –

მოჰკვავს ევას

სპეტაპ

წერილს,

თოვლის კალმით ნაწერს თეთრად,

და მგონია მყინვარწვერი –

ჩვენს სულს აკავშირებს

დმურთოან.

1994



მოულოდნელად ცაზე –
აიმდვრა ფერების გამა,
იელვა...
გავარდა მეხი,
წაბარბაცდა...
ზღვამაც,
ბავშვივით აიდგა ფეხი.

1972



ეძებს... და მუდამ ჰპოვებს...
მარადისობის შერთვის
ფიქრი აწუხებს პოეტს,
პოეზია,
ვით ღმერთი,
არის ანი და პოე.

1959



ზღვა და ცის ლურჯი უსაზღვროება
 და ჯიქთა ჯიში
 და უკვდავი ქართული
 სისხლი
 და სიმაღლე სამშობლოს მთების,
 მაგრამ...
 თუ მიხსნის
 ერთადერთი —
 მარტოდენ ფრთები.

1966



ჩავიდა მთვარე...

ციცქნა ნიავმა,
როცა სიბნელის შიშით იდროვა,
ტყეს ჩაუქროლა ცულიანი
გლეხის ბიჭივით,
წამს ჭრიჭინების შემწყდა ჭრიჭინი
და... მოიწყინა დამის მინდორმა.

1960



დარდის ღრუბლებით თავწაკრულები,
 შავი დღეები
 ასე ივლიან...
 იხილეთ თქვენი ხელის გულები
 და ნახავთ ,როგორ დასერილია
 ყოფნა-არყოფნის
 ნაკადულებით.


1986



ეგვიპტე

პირამიდებით წელგადრეკილი ეგვიპტე,
სფინქსები,
სფინქსები,
სფინქსები...
გამოუცნობი ისედაც,
მირაჟებში ხვევს დღესა და დამეს,
ვით ცოლ-ქმარ დმერთებს –
ოსირისსა და ისიდას.

1990



დასაბამიდან ასე ყოფილა,
 გათენებამდე პირველი დილის,
 აღარ შორდება და ერთად დადის
 სული და ხორცი,
 კაცი და ჩრდილი,
 მერე... ჯო,
 იგლის მარტოკა ლანდი.

1966



ღიად დარჩენილ მტრობის კარიდან –
სიკვდილმა როცა შემოიჭვრიტა,
სადგომი დევთა და ტარიელთა –
ჩემი კოლხეთის მიწა იჩქითად,
ვაჟმე!
რა უცებ დაცარიელდა!

1993



ჩვენი მამა-პაპანი —
სამშობლოს მზეს ფიცავდა,
და ხელში ხმლის ნატეხით,
უძლებდა მგრის რისხებას და,
დრო და ჟამის
ქარტებილს.

1993



მივუყვებოდი ფიქრის შარა-გზას,
და ვათენებდი...
და ვაღამებდი,
ოპეანეთა ქვეშ გამხედვარი,
და წელიწადი მიიწურა ოცდაცამეტი
მე რომ ჩემივე ულპობელი
დამაქვს ცხედარი.

1974



როცა ცისკარი აფრთხიალდება,
 ცას ხოხბისფერი
 როცა ედება,
 მაშინ მიღიონ ხელს მიქნევენ,
 მე მიღიონჯერ,
 ჩემი სამშობლოს ყინჩი ქედები,
 გელ-მინდვრები და
 სათიბები იონჯის.

1977



არავითარი ძალდატანება,
არცერთი კრინტი,
სიტყვა უარის,
მირს გდია კაბა და პენუარი,
ორივეს ერთი გრძნობა აქეზებს,
შენივთებულა მათი ტანები
და თაფლად დნება ბაგე-ბაგეზე.

1969



გაჯავრდა ღმერთი და...
ციდან ანგელოზები
ცრემლებს კოკით ასხამენ...
ზღვაც ხმელეთზე ამოდის
ქარის წამოსასხამით.

1959



შემოღვევა პოლეოზი

წამოწილილან და ოდის ლაფარასთან,
სძინავთ საწნახელებს –
ღვინიო გალეშილებს,
ვაზები ყორნისფერ ნაწნავებს იქნევენ...
და როგორც ჯიშიან ქალიშვილებს,
მოუჩანთ თხმელებს –
ოჯალეშის მტევნების
ჯიქნები.

1958



ჩვენს წასაყვანად დამით მოსულის,
 გვესმის ჭიხვინი –
 ფრთიანი კვიცის,
 რომელსაც თვალებს უბრმავებს ლიბრი,
 და მხოლოდ ერთმა უფალმა იცის
 მიზეზი,
 ყოვნა, არყოვნის
 ჯიბრის.

1988



შეღამებისას წაეკიდნენ ღრუბლები
ერთურთს
და მეხთატება თავებში იცეს,
ცას აღარ უჩანს მომთვარული
სახე და პირი,
გაფითრებული ყურს უგდებს სივრცე,
ქარიშხლის სიცილს
და წვიმის ტირილს.

1971



როგორც რაგვის ქვეშ მოყოლილ
 სკვინჩას,
 საფლავში ხსოვნას
 კიდაცა ბეპნის...
 კანკალებს ელვა...
 ქარს სუნთქვა ეკვრის,
 და კვლავ ედება ცივგულა ლოდებს
 ხაგსად –
 ტკივილი დამტვრეულ ნეპნის.

1994



ოქროს თასი

მზის და ოჯალეშისფერი,
ჩემი ცის და ჩემი მიწის
სიყვარული ისევ მასვით –
სამიათას ხუთასი წლის –
ორიალეთის ოქროს თასით.

1961



ნარდი

ვთამაშობ...

უეცრად აზარტი

აღმაგზნებს...

და ამიყოლიებს,

ჩიტის თვალივით მიცქერის იაქა,

და,

ნარდი ზღვასა ჰგავს,

ქვები კი თოლიებს,

ისმის კამათლების წიაქი.

1955



გულზე წუხილად კვლავ აწევს მთები
მშობლიურ მიწას –
გუდამ დარდიანს...
და მეც გულს მიღრნის ცალთვალა იჭვი:
გაჱ,
თუ არ მისცეს (თავგანწირვის)
უფალმა ნიჭი
ჩემს ყევარ ბიჭებს,
ვითარც მისცა ცოტნე დადიანს.

1994



ხის ტოტებზე გაფენილი –
ფერმკრთალდება თეთრი ნისლი,
ტყეებია სადაც ნორჩი,
და იქიდან კვნესა ისმის
დალისა და ოჩოკოჩის...

1958



მთებს მოსწყინდებათ ყოფნა უთოვლოდ
და გაზაფხულს
დამთქნარებენ,
წაიხემსებენ წითელ ჭიებს ანკესები,
შეყვარებული მოვლენ
ქარები
და ქალწულ ლერწმებს ააკვნესებენ.

1990



მოსასვენებლად თვალს რომ მოვხუჭავ,
 ჩემი ფიქრების
 ბნელ ფუღუროდან
 იმზირებიან დარდის ბუები,
 რომლებიც მცემენ მზის ცხელ უროს, და
 დილამდე მკლავენ...
 ან მაბრუებენ...

1994



მიხმობს...

მებახის დრო და მანძილი
და აღარ ცხრება,
დაუმცხრალი სულის ღელვანი
და სურს იმედის ხომალდი რომ კლდეებს
მიაფქას,
მე,
ვით კოლუმბი,
ვით მაგელანი,
დაბლა არ დავხრი რწმენის იალქანს.

1995



უსახელო ჯარისპატის საფლავი

თუმცა დუშმანი ეხვია ქინქლად,
 არ დასდებია მას ფერი ნაცრის,
 იბრძოდა ლომებრ,
 სანამ ჰქონდა ძალა და ღონე,
 და,
 აი, ახლა,
 აქ განისვენებს ის ჯარისკაცი,
 უსახელო,
 მაგრამ დიდი სახელის მქონე.

1977



მე მიხარია,

რომ იგვიანებ,

თუმც მუდამ გელი სწორუპოვარს და

თავმომწონეს,

გულს ამოვატან ხანდისხან ოხვრას,

რაღგანაც ვიცი,

მობრიალე,

როგორც კოცონი,

სიკვდილო ჩემო!

მაინც რომ მოხვალ!

1994



თურქებმა და მონღოლებმა
ტალღებივით ჩაიარეს,
ნუ გგონიათ ნიხლი დილის,
არა,
მტკვარი უხვევს თბილისს,
იმ ძველისძველ ნაიარევს.

1987



და მერე გვიან,

ჩემი არყოფნა,

ჩემს მზესთან ერთად,

თავს როდესაც დაიხრიბს ზღვაში,

ჩემს ლურჯ ხობისწალს მიუსამძიმრებს:

ჯერ ჩარგლულა და მერე ჩიხურა,

მივალალებენ ზღვის ზვირთები –

ჩემი მოყვერები,

სამარადისოდ დასავლეთის კარს

მივიხურავ,

აღმოსავლეთით ყოველ დილით –

მზეს ამოვყები.

1965



მე, ეგრისელი,
 ორ ალექსანდრეს, —
 ერთს — მაკედონელს,
 მეორეს — ნეველს,
 ვეომებოდი ფარულად ოდით,
 სიტყვის ფარ-შუბით,
 პოეზიის თავსხმაში შეველ,
 და დმერთმა უწყის, გამოვალ როდის.

1956



გშრიაში

საქართველოს მაღალ ციდან –
გვეი!
როდის ჩამოსული,
საცალფეხო ბილიკებით კვლავ ცად ადის
“კრიმანჭული”,
და ქორბუდა ირემივით მთა, გაზაფხულს
მთას შებდავის...
“ოჯალეშით” გალეშილი,
ოზურგეთში ბორგავს ჭური,
სიყვარულის ბედელს ავსებს ძიმითი და
ნაბეღლავი.

1971



აქ,

მათ მაღალ ცეცხლთან ვდგავარ,
დიახ!

მაღალ ცეცხლთან – მეოქი,
და წარსულის გრძელი ომები მეტრუსება,
თუმც ძანილი მესმის
ხეთის,
შუმერის და ეტრუსკების.

1966



ოთხი გარსპელავი

ოთხადოთხი გარსპელავი რომ კრთის და
ბრწყინავს
ცის მეუფის ოქროს რაშის –
უჟანგავი ნალებია,
ო, შორს,
სადღაც საქართველოს მზე
ამოდის,
საცრისტოლა თვალები აქვს.

1989



ერთმანეთს ებრძვის შემოდგომა და
 ზამთარი,
 ვით დავით ულუ და
 ვით დავით ნარინი...
 აქ, კი ზღვის კარად —
 ანაკლიას და ყულევს,
 მოხუცებიგით თბილად შეფუთულებს —
 საძილე ტომრებში სძინავთ მანდარინებს.

1978



ცრემლი

მეხიგით უცებ გავარდა სიტყვა
და შეიცვალა ავდარით,
დარი,
ეჭვმა დაიწყო სიყვარულის თითების
პენეტა,
და თვალებს,
როგორც საყდარის კარებს,
ცრემლი,
ვით მნათე აღებს... და კეტავს.

1988



ელოდა და...

ადარ ჩანან:

შორი გზიდან მომავალი

ბუა დო ჩხანა,

მიტომაა შუბლშეკრული გულკეთილი

მთვარე –

თუთა,

რომ მარტოკას დღესთან მიაქვს

ვარსკვლავებით გაძეძგილი

ვეებერთელა დამის ფუთა.

1960



უშპა და შხარა


ქართული ცისთვის მხარი შეუდგამთ
მათ,
ძველი ხუროთმოძღვრების დარად –
თეთრად შებურვილ უშბას და შხარას, -
ქართულ მიწაზე მდგარ
თეთრ გიგანტებს.

1970



შორს მიმავალი ასწლეულების
 დღეების ფოთლებს –
 ქარებს ატანენ...
 “ყოფნა – არყოფნა” –
 ომი ისევ მიდის ფარული,
 და ჩვენს ლამაზ ცას,
 კვლავ ნამეტანი,
 აკლდება მზე და ფერულარილი.

1965



მთვარე

ჯოჯოხეთია...

იქნებ სამოთხე

და გვაძლევს მასთან

ყოვნის იდეას,

რადგან ვერა ძლევს ჟამთა სრბოლა

და ქარიშხალი,


რას მიგვანიშნებს...

რატომ ჰქიდია

მთვარე

ცაზე, ვით კითხვისნიშანი?!

1959



პრეზი

უკიდეგანო ლაქვარდში
 არტყამს არწივი ირაოს,
 ტყვიამ ფრთა თუ არ
 უტაცა,
 ფრინველთა მეფეს უნდა ცა
 მიწაზე დააყირაოს.

1961



არ ჩერდება!

ვაით! ვუით!

ცრემლნარევი ერთურთს მისდევს

დღეები და... ვერთვით დამის

წყვდიადს...

და ვდაღადებ მეც,

ვითარცა ქრისტე,

დვთიურ “ჩემს სახლს –

ლოცვის სახლი ჰქვია!”

1971

ნათლითშემოსილ პრძენს უთქვამს:

- ეძებდეთ,
მუდამ ჰპოვებდეთ,

არის ბუნების მისია:

სიკვდილი ნაღდი პოეტის,

სიცოცხლის დასაწყისია.

1990



გარდასულ დღეთა მესმის გოდება,
“ქართლის ცხოვრებას”
როდესაც გავშლი,
და ვედარ ვუძლებ შემოსეულ ფიქრების
ურდოს,
თუმც ჩემი ყოფნის ყვავილოვან პატარა
ბაღში,
მზით შებუმბლული უამრავი
სიმღერა ბუდობს.

1978



მთიდან ყინვის მოვერცხლილ ფრთებს,
 ბარისაკენ კვლავ მიაქნევს,
 თებერვალი და სიცივე,
 არც დარი ჩანს... არც მერცხლები,
 ზამთარია...
 შემა გულით ცეცხლს იცინის,
 და კვლავ აჩენს ოქროს კბილებს –
 ნაკვერცხლების.

1961



დაშორება

შენი ღიმილი დამესაკლისა,
რადგან არყოფნის
ყინვა და ქარი
შენმა სიახლოვემ ბევრჯერ ამარიდა,
ახლაც უშენოდ,
მე ცოცხალ-მკვდარი,
ახალ ამოღებულს ვგავარ სამარიდან.

1973



სადღაც ნაპირი გულისფანცქალით
 მოელის დელვის ხელის
 შეხებას,
 არ ჩანს ქარები —
 ზღვის მეუფენი,
 ცაზე ელაგს და წვიმას აპირებს,
 სავსეა სევდით —
 გარსკვლაგების
 თვალთა უპენი.

1959



აპრილი მთაში

მზე ჯიხვივით გადმომდგარა,
არც ქარია,
არც წვიმები,
სიხარულის დგას აპრილი,
დგანან მთებიც,
არწივების
ბჭყალ-ყივილით დაჩხაპნილი.

1991



ზღვის ცისფერ ნაგსაყუდართან –
 გამომეგება ასასი,
 მისურვა მწუხერის მშვიდობა,
 საღამო –
 ზანგს მივამსგავსე,
 ნავი –
 ნესტანის კიდობანს.

1956



მშემარა

ალბათ მივაგნებ მის კარ-მიდამოს,
ვერ შემაშინა მისმა რისხვამ
და განაჩენმა,
სიცოცხლისაგან ვერ განვიმუხტე,
ისე ნუ მომკლას ჩემმა გამჩენმა,
ერთხელ სიკვდილსაც
რომ არ მივუხტე!

1994



* * *

ქუჩებში ისევ დათარეშობენ
თოვლისი და სუსხის ნიღბიანი
ქარის ბაზდები,
ბავშვთა ყიუინად ცვივა ფიფქები...
და ყინვის დამზრალ ხელებს გვიქნევენ –
ზამთრის ქათქათა
შუშაბანდები.

1955



სადღაც ისმოდა ზვირთოა ყაყანი
და მეხთა ტეხის ხმა
და ყიჯინი,
ქარებით იქო ცა გაფოთლილი,
მზე დასავლეთით იდგა,
როგორც სიკვდილმისჯილი
და ზღვა მოჩანდა ეშაფოტივით.

1958



გულო, ჩადექი საგულეს,
 მზერას ნუ აუხირდები,
 თუკი მომტაცებს ხშირ-ხშირად
 თვალს,
 მწევარ –
 მდინარეებზე,
 ირმის ნახტომი –
 ხიდების.

1962



ასე მგონია,

ჩემი აქ ყოფნა,

საწყალი,

ჩუმი და დღენაკლული,

ფერს არ გადიკრავს სახეზე მიტკლის,

როს მოესმება კარზე კაკუნი,

ის კალმიოთ ხელში

შეხვდება სიკვდილს.

1961



ზღვის აღელვებაზე,
 ცამ გადიხარხარა,
 ქარები აფრებს ლოყებს
 უბერავს,
 ტალღები ნაპირს ეურჩება,
 ელვის “პომადას” წაისვამს დრუბელი,
 ზანგის ქალივით სქელტუჩება.

1959



ა. ა. ს.

აფხაზეთი

მაძები ჩაიცვეს შავი ზღვის ტალღებმა,

ჯერ

კოლხეთს არ ახსოვს

სისხლისღვრა ასეთი...

ქართლის ცის ლაჟვარდი მივართვით

არზებად,

და...

მაინც ზღვისკარად გაზრდილი
აფხაზეთი,

თვითონვე მოგვიკლეს აფხაზებმა.

1994



ბაბილონი

გონებაში ფუთფუთა ფიქრთა
 ჭიანჭველები,
 ბიბლიის თუ წარსულის
 მაღალ კარებს აღებენ:
 თვალი მოჰკრან ქალდეველთ...
 ღვთაებრივი ბალებით –
 მოსირმულს და
 მოქსოვილს –
 ცამდე აწვდილ ბაბილონს –
 ნაბუქოდონოსორის.

1962



მიწა ცას უმზერს,
ვით შორეულ მდიდარ ნათესავს,
რომელიც ღარიბს,
მუდამ მონებდა,
და ჰკლავს წყურვილი:
მზის ოქროთი ხელებს იწვავდეს,
ცა ჩამოუგდებს მეტეორს, ვით ოქროს
მონეტას,
მაგრამ რად გინდა,
ისიც ვედარ აღწევს მიწამდე.

1958



ნაპირისაკენ მქროლი ზვირთები,
 ქარიშხლის ფოთლებს
 ისევ ისხამენ...
 და ზღვას დელვისგან უღვთოდ
 გადაღლილს,
 ამ უთენია,
 დილა სისხამი,
 სიხარულსა გვრის ნახვა კატარდის.

1962



შორეთს მიმავალ ათასწლეულთა,
ბნელ უდრანებში
გზას გაიგნებენ
შენი ფიქრები,
ნუ დაეჭვდები,
საუკუნეთა მძიმე წიგნების –
ოქროს ფურცლებში ჩაიბეჭდები.

1992



ზღვის გულისთქმა –
არის კვნესა ქარის,
ცის მეტყველი –
დუმილია მთვარე.

1962



ღამე

რომ ანთებს მნათობთა

პელპატრებს,

ხდვა –

საყდარია,

მთვარე –

მნათეა,

აგსული ქარები მის კარებს აღებენ...

და მერე ხმაურით,

შიშით და ყაყანით,

მუხლებს მოიყრიან ნაპირთან ტალღები,

მიწას –

თავის ღმერთს

რომ სცენ თაყვანი.

1989

სამშობლოსათვის მარად მლოცველი,
 მთვრალი ქართული სიტყვის
 ბადაგით,
 წევს ჩემი მიწის ხსოვნის წიაღში:
 მეფეთა-მეფე
 და ათაბაგი,
 შანშა – შარვანშა და პიტიახში.

1989



ქარი დასავლეთით მიაფრიალებს
ოქსინო ნარევ დრუბლების
მერდინს,
გავცქერი სიგრცეს და მზერას კორტნის:
მაღალი მთების
გამხდარი ფერდი,
ხეთა რემა და ბუჩქების კოლტი.

1972



ზღვასთან მიმდგარი ერთი დრუბელი
 (რომელსაც დამის გაუდეს კარი),
 ტორეადორთან მორკინალი
 შავი ხარია,
 სულს ლევს მნათობი, ნახევრად მკვდარი,
 ცაში კი მაინც სიხარული
 და ხარხარია...

1967



თბილისი, სამაჩაბლო,
სამებრელო,
აჭხაზეთი

დაჩენჩხვილ შავებს იცვამს შავი ზღვა,
ტყვიანაკრავი თბილისი კი
გდია უსულოდ,
და ჩვენი მტრების გულგასახარად –
გადამწვარი და
გადატრუსული
ქართული მიწა იქცა საპარად.

1993

698 ხა

ლრუბლები ფარავენ მთოვარის კიდობანს,
ცასა და მიწას
ჰკლავს მტრობის წყურვილი,
მეხი ხელს ჰკრავს და
წვიმა ძირს ეშვება,
წარღვნიდან მოისმის ნოქს ხმა:
- სად გაგონილა,
ხეს სიძულვილის,
რომ სიკვარულის ნაყოფი მოესხას!

1992



სიხარული გვაქვს,
ცოტაოდენი,
წუხილი მეტი, ვიდრე სამყოფი...
და, წუთისოფლის წუთის
სტუმარნი,
სიკვდილის,
ვეღარ ვიგნებო სამყოფელს
და მისკენ მაინც მივალო გუმანით.

1987



გეძმე ზღვებსა და ოკეანეებს
 და მზემ და მოვარემ
 შვილად მიწამა,
 ვდგავარ სამყაროს საიმედოდ და
 სამსახურად...
 ადამის ძე ვარ – დედამიწა,
 ჩემი მიწაა,
 თავზე მსოფლიო ზეცად მახურავს.

1959



გიო დევის კოშკში,
ცეროდენა და მისი ძმები,
მნათნი ცის სარტყელს –
ხან კეტავდნენ,
და ხან აღებდნენ...
ო, არ გვენახა ასე გიუი ზღვა,
წვენ აქამდე,
და გუყურებდით:
ლურჯი ტალღები,
როგორ ეყარნენ ნაპირზე და...
სულს რომ ლაფავდნენ...

1984



შემოუგდია შემოდგომას ჩემს ფანჯარაში,
 ფოთლის ფურცელზე –
 გაკრული ხელით
 ნაწერი,
 ქარის შავი წერილი.
 ახლა წყვდიადში ვზიგარ და ვეღი,
 როდის მეწვევა
 ლუციფერივით.

1994



სოდომი და გომორა

არ აგება ნაყოფი,
განურისხდა უფალი
და ქალღმერთი არყოფნის
ქარ-ცეცხლით ეამბორა,
მარადისობის ჩრდილში
მდგარ
სოდომსა და გომორას.

1959



ცორმილები

მარადებამს სხივთა ისმის უიგური,

ცა -

მნათობების ლურჯი ბუდეა,

და ვტოვებ მიწას ძე -

შეცოომილი,

ცეცხლოვან კუდში რომ ვწვდე კუდიან,

უსასრულობის ცისფერ გზებზე -

მქროლავ ცოომილებს.

1988



წინ გამოწვდილი ზვირთთა ხელებით,
ზღვა გულში იკრავს
ციხე —
გონიოს.

ცა —
ვენახია,
ქლვა —
სასხლავი,
ის, მეტეორი, შენ ნუ გგონია, -
ცას გამოექცა ცელქი ვარსკვლავი.

1972



აგვისტო

ნიავი როცა შეახებს ხელებს,
 ამოიკვნესებს წუთისოფლის
 სიმუხთლეს ზარი...
 და მიტოვებულ ტაძრის ეზოში –
 დადის მოწყენა,
 როგორც ფაკირი,
 და,
 ცა, მზის ენაგადმოგდებული
 სიცხეს ყეფს და ყეფს ქოფაკივით...

1981



მოვარდა გულბორგნეული,
ზღვას გამოჰკრა
უცებ სარმა
და ნაპირზე დაანარცხა,
მერე ქარი,
მეტი ძალა რომ არ შერჩა,
მოეფერა ზღვას ისევ და
ზეირთოთ თმები მოუწეს.

1960



მეტასინა

იმ ქვეყნისაკენ –
 ორთაჭალით,
 ხალხს რომ ჩაუგდია
 მიღეთს,
 ამას დასტურ თბილისი კი,
 აქ,
 მეტეხთან,
 სტოვებს მტკვარის ფაქსიმილებს.

1959



* * *

ვით უფალი თავის სამწყსოს,
გადმოსცერის წუთისოფელს
კლდიდან ჯიხვი,
შებლს უგრილებს ნიავს –
ოლე,
მთვარე ღრუბლის ულვაშს იგრეხს,
მიდის,
დამეს მიაბოლებს...

1986



ქართულ მიწაზე დგანან,
 ფეხს არ იცვლიან არსად,
 ჩემი ჭკვიანი მთები,
 ის კი ქვეყანას სძრავს...
 ისიც მარადეამს ჩემი -
 თავქარიანი ზღვა.

1960



ეტნა

ღმერთს რომ მოსტაცა პრომეთემ
ცეცხლი,

შთამომავალი გახლავთ მისი
ლურჯი მთა ეტნის, -

მეტყოდა ყმაწვილს,

მოხუცი ოფა,

და უმატებდა: მას მიწაზე მოსწყინდა
ყოვნა

და არ ისვენებს...

და ზეცას ელტვის...

1959



დაგითვერული

შაჰსა და სულთანს,
 მეფეს, ხალიფას
 მზე დაუბნელა,
 სადაც თვალი რომ გაახილა,
 ავის მოსურნე ყველგან დადაგა...
 და ტანში შიშს ედგა
 ძახილი
 ირანს...
 ინდოეთს...
 ადარბადაგანს.

1987



ჩამოწვა ღრუბელი...
და სივრცე დამძიმდა,
ლიბრი გადაეკრა ჩეგოლას,
ექს,
და ვხედავ,
ვიდაცა უცქერის ანძიდან,
როგორ უდარდელად ზის დელვის ბუდეში
ზღვა,
და ქარიშხალს ჩეკს...

1958



გვეი,

ძმობილო!

ეს ქვეყანა კიბე ყოფილა,

ჭიათურებივით მოკვდავები –

ადი – ჩადიან...

მე კი ამქვეყნად რაც რომ მოვავერე –

ეს, ორად – ორი არის

ბოკვერი –

ჩემი სიცოცხლე,

სიყვარული...

და არგადია...

1993



* * *

სიტყვა დმერთია ცისა და მიწის,
მე დავადგინე
და დავაწესე,
და წვით და ჯაფით მასთან მივედი,
“იქმენ ნათელი!” –
არის ჩემი ოქროს საწმისი,
მეც მზის შვილი ვარ, ვით აიგტი.

1993



ღრუბლებმა ყორნების ფრთები კვლავ
გაშალეს,

სინათლე –

სინათლის ბურუსით

შებურეს

და ცა და ქვეყანა ავსულებს მიანდეს...

იელვა...

გამეფდა შიში და წყველიადი,

ზღვად დადგა სიჩუმე სამრისებური...

1966



ჩემში ქარიშხლის სული ბობოქრობს
და ვეფიცები სიკვდილამდე ძმობას –
ყველა ადმირალს,
მატროსს და
მიჩმანს,
რადგან გრიგალმა დელვისგან მშობა
და უზღვოდ ყოფნა არარად მიჩანს.

1979



ხელს გიშვდიდა საალერსოდ –
 ქართული ცის
 ათინათი,
 კეფხის ტყავში გახვეული შოთას სიბრძნე,
 და,
 იყავი მაშინ ათის,
 იღლიის ქვეშ –
 ფრთა რომ იგრძენ.

1958



მტერს რომ დაუმალა,
ვით პირიმოვარისა,
ის მთვარე ამოვა ჭებიდან
და... შეღამებას იწივლებენ
ყვითელგულა ვარსკვლავების
ნაჭუჭებიდან
სინათლის ოქროსნისკარტა წიწილები.

1954



ჩემი მეგრული სახლის ლაფაროსთან,
 უკრად,
 დეკემბრის ლამაზმა დღეებმა,
 გულებში –
 ლოლუების შუბები ჩაიცეს,
 და ზამთრის პახილზე დატიტვლდნენ
 ხეები,
 ვით ინდიელებმა
 თეთრები ჩაიცვეს.

1958



ცაც ხარ და მიწაც,
პაციც და ღმერთიც,
ერთი კი არა შენა ხარ ორი,
ვერ დაგაშორებთ დრო –
ერთმანეთთან,
ჯერაც უცნობი –
შენ ხარ პლანეტა,
მოარცლი,
უსამანო სივრცეებს შორის.

1992



შუბლზე წაეკრათ ნისლის მანდილი
 ქარებს და ლურჯად
 მოღალანე
 ზღვის ყანას მკიდნენ,
 არ ჩანდა დილა,
 დამის მეტოქე,
 ცას მოფარებელ შიშველ გარსკვლავს
 თვალები კპიდე
 და ვიგრძენ, იგი,
 ქალწულივით როგორ შეტოკდა.

1970



სანაპიროზე სუსტი და ფერმვრთალი,
ალერსის ხელმქლავით
ჩაივლის ნიავი,
თვალებს გაადევნებს საღამო მაისის
(ნავს მკერდზე უდვია ნიჩაბის
ფართო ხელი)
არავინ არა ჩანს,
ქარის ხმაც არ ისმის,
რა ვქნა,
ზღვას ვერ დავტოვებ
გარტოხელას.

1985



თელავი

დელის პირს ბებერი თელები
 დამდგარან,
 ვით ეშაფოტები,
 დაუფჩქნიათ ფუღუროს პირი:
 რატომ ცვივაო ცრემლების ფოთლები,
 რა ატირებსო ტირიფს.

1958



ვიქრი:

— დელვამ რომ
ჩაგვისუნოქოს?
— ღმერთმა ნუ ქნას,
პირი მიქნია ქვისკენ,
ქარის ურდულებიან ზღვის ბჟესთან —
ხელებგაწვდილი,
დასახრჩობად განწირულ
მზისკენ,
ვდგავარ მე,
ჩემს ყევარ ბიჭებთან.

1988

აფხაზი და ალზებაზ

არ იღვიძებს ტოტზე კვირტი,
 პირს ვერ უხსნის ბიას
 დანა:
 პატრონს ვედარ გადურჩები,
 ყვავილების ბოლში
 დგანან,
 ატმები და ალუჩები.

1981




ვითარც აზომ,
ზოგ ზოგებმა,
ქრისტე ღმერთი უარყო და
კერპს და ეშმას ეთაყვანა,
და კოლხეთს წვავს ცეცხლის ალი,
არ მჯეროდა, რომ ქვეყანა,
დახურული იყო ჩალით.

1993



ვითარცა მეფე თვალდაშრეტილი,
 დღე მუწხრში ჩადის
 დამის სათევად,
 სადაც ჩაიწვა და ჩანახშირდა,
 მოვა დილა და ცის ქარქაშიდან –
 ამოამდერებს მზეს,
 ვით სატევარს.

1972



დავბადებულვარ მაისის თხუთმეტს,
ფერთა ღიმილში
ვარდ-მაისობის,
და შორეული ქარიშხლების მესმის
ზუზუნი...
რკინის ქარებთან –
მარადისობის,
გვიან მგზავრივით ვარ ატუზული.

1995

თეთრი ღრუბლის,
 თეთრ სავარძელში,
 ზის მამალმერთი —
 ზესთა მგოსანი,
 შიშის ქათქათა წვერმოშვებული,
 და მოკვდავების ლოცვით
 შებურვილს,
 მთვარე უჭირავს ხელში ჩანგივით
 და დამეს გალობს სიმსხივოსანი.

1958



იქ დაუცია სიკვდილს კარავი
და მიუთვლია მისათვალავი,
აქ,
სასაფლაოს ძველ აკლდამაზე –
ღამე კითხულობს მოვარის სათვალით
შავი ჩონჩხებით ნაწერს –
ამაზრზენს.

1981



უცხვირპირომ,
 და ცალთვალამ
 ციკლოპიგით –
 გაიღვიძა შავმა შურმა, -
 ბნელში მზერა ჩანს მრისხანის,
 ჭიქა წყალში ავმა სულმა,
 კვლავ ასტეხა ქარიშხალი.

1994



მზის უფსკრულიდან გადმომქუხარი –
ადიდებული ჟამის
მდინარე,

ეოფნა
არყოფნის კლდეებს პიტალოს,
მიაპობს ისე, ვითარცა თერგი,
რომ მოკვდავთ დაბლა
ჩამოუტანოს,
ტანჯვის დღეების ვეება გვერგვი.

1987



დღეები კი ისევ ისე,
სადღაც
მიიზლაზნებიან,
თავიანთი თვისტომებით,
დამეები –
ცის ლულაში,
ჩადებული გაზნებია –
გარსპვლავების ფისტონებით.

1957



მორმოზე

ჰაუ,

რამდენი წელიწადია,

ხატან ლოცულობს, როგორც

წმინდანი

და ცას შესცემის ღრუბელდაკერილს:

არა ჩანს ღმერთი...

თუმცა ისევ გაუწმინდავი,

დამეს

კპლაკ ღიად დარჩენია

მთვარის სარკმელი.

1968



სტრიქონების გამაქვს სვრელი,
ფიქრებს ვთეს და...
მე ვარ მუშა
და ვეწევი გარჯას მძიმეს,
რომ ჩამოვლიმა,
არა უშავს,
ერთ პირს წყალიც კი იძინებს.

1994



სხედან ცაში და ქსოვენ მოწყენას
ღრუბლები,
წვიმის ყაისნალებით,
დღის მიღმა,
მნათთა ისმის ფუთფუთი,
და აღვიძებენ ერთურთს ტალღები,
აფახულებენ ქარის ქუთუთოს.

1978



თეთრი სიჩუმით მობიბინე სიმყუდროვეში,
 ქალიშვილივით მკერდსავსე
 მთვარე,
 ნაცნობ ბილიკით ისევ აივლის...
 ზამთრის დამე კი ცისფერში ავლებს
 ვარსკვლავებს,
 როგორც სინათლის ყვავილებს.

1980



ორნი

მონადირის ტყუილ-მართალს
უყვებიან ერთურთს ხარბად
და ხირიმის თოფს აქებენ...
იქვე ხევ-ხევ ირემივით მთვარე გარბის
და მისდევენ მას ღრუბლების
ქოფაკები...

1964



ჩამავალი მზის მოოქროვილ ყდაში
ჩასმული,

ზღვა არის წიგნი,
რომელსაც ქარი უშნოდ და ურცხვად,
ამოხევს ტალღას,
როდესაც ფურცლავს,
იქ, სადაც დელვა წერია შიგნით.

1990



სიონში

ცივ ჯვარზე გაპრული,
მოწყალე თვალებით
დაგვცექერის უფალი შიშველი
და სუფევს სხვა იდუმალება,
და ისმის:
ო, ღმერთო,
მიშველე!
უკრად ზარის ხმა...
და შიშით კანკალებს:
სასანთლე,
საცეცხლური
და კანკელი.

1956



გაღვიძებული მამლის ყივილით
 და სიყვარულით მკვდარი დღეები,
 როს დავიწყების კარებს
 მიადგნენ,
 წამს ხსოვნის ჭიდან მოგონებები –
 ვარსკვლავებით
 ამოკიაფდნენ.

1959



ქართველო

აღორძინება?...

იცოცხლე!...

დაცემა?...

არ იცოდი და...

განახეს

“შვილებმა”...

ჰეი, შენ,

ზეიადო ქართველო!

გაჰყურებ გათელილ მშობლიურ

სანახებს,

ვით ნაპოლეონი ვატერლოს.

1992



1სეზ ანდერძი

მიტირონ...

მიგლოვონ ქართლის ცის
ღრუბლებმა,
აქვთ ამის უფლება,
მე რომ ვუმდეროდი, იმ მთებმა,
დახარონ ჭალარა თავი,
და ჩემმა შვილებმა –
შავი ზღვის ზვირთებმა,
ჩაიცვან სამოსელი შავი.

1993



მზე ჩადის...

და სოფლის ბოლოში,

ვიდაცა იძახის: ბათა, ვო
ბათათა!


მიდამო ყრუ არის... არსაით პასუხი,
მთას თოვლის პერანგი აცვია ქათქათა
და უკეთია ბილიკის –
ჰალსტუხი.

1959



გული გულს იცნობს...
და რა ვუყოთ,
თუ არ მემხრობა,
მგოსანთა არა!
მელექსეთა –
ეს წვრილფეხობა.

1994



სოფელს ისევ პლავს წყურვილი
და ზღაპარში,
ლურჯ წყაროსთან,
გველეშაპი ჩანს ახმახი, -
მთხოვნი მსხვერპლის შვიდის არის,
ვეხზე უდგას -
თოვს ჩახმახი,
ცერზე უზის -
მშვილდს ისარი.

1968



როგორც ჰოგაძი

ფიქრით,

ნაპირზე ვცხოვრობ ევფრატის, -

ძველ ნასახლარზე ჩემი წინაპრის,

და წყალს ჩავცექერი, როგორც ტობალი

და ნათლად ვხედავ:

ათასწლეულ დამის სიღრმიდან

მზე ბნელს მოარდვევს და

კოლხეთში დილას მოგალობს...


1982



ზამთრის ღამე რიცასთან

გადმომდგარა ციდან მოვარე –
ნიამორად,
ან ჭედილად,
მთაში სარკედ გდია რიწა,
ცა –
ოქროთი მოჭედილა,
ვერცხლში ცურავს დედამიწა.

1976



რომი

და აჟა, რომი...

და წარსულიდან,
უცებ ბატების მესმა ყაყანი,
ამ სილამაზის გადარჩენისთვის
ბატებს –
თაყვანი.

1983



1626

ხელთ შუბთა ტყე აღუმართავთ,
თავზე მუზარადი ხურავთ –
ქართველ მხედრებს
აბჯრიანებს,
ბაზალეთთან,
სააკაძე –
ხმალში იწვევს თეიმურაზს
და... ქართლს ტანში აქრიალებს...

1959



ქარი, ღრუბლების გუდა-ნაბადით
 (ცხრა მთის გადაღმა
 გადახვეწილი),
 გზას მიუყვება ისევ გულდიდად...
 აქ,
 უღმერთობას ზეცას შეხწივის,
 გადმოვარდნილი ბარტყი -
 ბუდიდან.

1967



თოლიების თეთრი ფრთებით

გადახურული

ზღვა,

აშრიალდა უცებ ტყესავით

და ერთი ტალღა ქცეული ნუკრად,

ამოკუნტრუშდა ნაპირზე და

რომ დამინახა

დაფრთხა...

და წამსვე გაბრუნდა უკან.

1959



მისი ხშირი სტუმარია,
შიძვილი და
სიმარტოვე,
ასე მოსდგამს ამ ჩემს თვისტომს,
თავისას ის რკინას ტოვებს
და სხვას აძლევს
ამეთვისტოს.

1989



ცა ისევ სტყორცნის
ელვის ქამანდებს,
ქარიშხალი კი, ვით
მეჯინიბე,
ღელვაში სრბოლას კვლავ მისცემია,
ზღვა ყალყზე მდგარი
არის ჯინიბი,
ტალღები —
გაუხედნავი პვიცებია.

1977



ყვავილების ბოლში ახვევს,
მზე ატამს და ალიბუხარს,
კვირტი ახელს ნატკენ თვალებს,
ღამით ცეცხლის ალი ბუგაგს
ცად —
ვარსკვლავთა ნატერფალებს.

1989



ქართლის მთები

“იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყვეს დრეკა”.

ვახტანგ მეფის ფეხის ნადგამ
მთებზე –
სამკვიდრებელს ეძებს,
შიდა ქართლი “იბრაგიმებს?!”
ვაჲ,
დედასა!

მთები მკერდზე,
ზვავთა მუშტებს იბრაგუნებს...

1992



უკანა კარიდან გავიდა სიცოცხლე,
 და ისე წავიდა,
 მაინც ვარ მე,
 მისი ერთგული,
 მზე და მოვარე კი არ მტოვებს წამითაც,
 ვითარცა ტალა და ებგური.

1990



ჟამს მიმწუხრისას შენზე ფიქრი
ისევ მეწვია

და უთენია წყნარად დამტოვა,
მიმოვიხედე სიჩუმეში დამენათევმა,
წარმოვიდგინე:

ქვეყნად მარტო ვარ,

და...

დამიარა ტანს ქრუანტელმა.

1966



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
*** (მოგწყინდა ყოფნა დედამიწაზე)	25
კალიგულა	26
*** იქ, ციხისძირს	27
*** ცივ და შორეულ	28
მთვარის ტაძარი	29
სიყვარულის ხე	30
*** ცისა და მიწის...	31
მერცხლები	32
*** იქნება ასე	33
*** ზღვიდან დრუბლის	34
*** ზღვა პგავს მძინარ ლომს	35
*** ეცადნენ და...	36
*** შემომეხარჯა ეს დღეები	37
სათაფლიასთან	38
*** უკოცნის ზვირთთა	39
*** დილის მზის	40
კოლხ წინაპარს	41
*** დიდი რუსთაველის სახე	42

*** სძინავთ მთებსა და...	43
*** ბუდე დანგრეულ ყვავის...	44
*** გამთენისას სანაპიროზე.....	45
*** პოეზიის უდაბნოში.....	46
*** ზღვა	47
*** დამეა...	48
*** “სვანური ზარით”	49
*** შენმა სიცოცხლემ	50
*** ცის უკვდავი ბინადარი.....	51
*** მომეგება ხელგაშლილი.....	52
ნეკერჩხლის ხე.....	53
*** ცის სილაჟვარდით..	54
მენავეთათვის და მოგზაურთა.....	55
*** მოულოდნელად წაუკიდა ცამ.....	56
*** მნათობების ყრია მტვერი...	57
*** ქორფა კიტრით და...	58
*** თემცა, თავს ზოგჯერ...	59
*** შენ სიყვარულის...	60
*** პირამიდები	61
*** დამე ბნელის მომკვლელი და	62
*** უკვდავი სულებით...	63
*** სიტყვა ღმერთია	64

რგაასი წელი.....	65
*** დამის გაუვალ ტევრში...	66
*** წუხილით გადაბინდული	67
*** ჩვენი მაშვრალი მამა-პაპანი.....	68
*** სხედან მოწყენილ...	69
*** აღარ მშორდება...	70
BEIVEDEPE	71
*** ტკბილი როგორც გოლეული.....	72
*** დამის მოწყენილ სიმარტოვეში.....	73
*** არ ვიცი რატომ.....	74
*** ვარდობის თვეს მოვლენილი	75
*** მოულოდნელად...	76
*** ამირანთან ნაომარი...	77
*** მე არ ჩავწექი	78
*** ნამტირალევი ცა	79
*** ცის შვილია და...	80
*** პოი	81
*** როცა შეცურდნენ...	82
ილია	83
*** შორეული წარსულიდან...	84
*** დილით	85
*** რა ქნან.....	86

*** როს მოქსმა მზის ძახილი	87
აგვისტო ზღვაზე	88
*** წუთი რა არის.....	89
*** ზღვიდან ამოსული... ..	90
*** თვლებს დედამიწა... ..	91
*** წამოწოლილა მთა... ..	92
თოლი.....	93
*** დასავლეთიდან ღრუბელი... ..	94
*** ჩემი სიცოცხლის მზე... ..	95
მთვარიანი დამე.....	96
*** ქარი	97
*** ფოთლები	98
ფარნავაზ, ჯუქი	99
*** ამას არ უნდა... ..	100
*** მოწყენილ ღრუბლებს... ..	101
*** გზის მეტი რაა... ..	102
*** დრო მოვა.....	103
*** ზღვა ქარიშხალში... ..	104
*** პატარის	105
*** სინათლის მიღმა არ... ..	106
*** ანგელოზთა საქმეს ბჭობდი.....	107
*** ყურს უგდებს ბებერი დამე	108

*** ღიად დარჩენილ...	109
*** ხშირად.....	110
იქმებ ნათელი.....	111
*** დგას ცისარტყელა...	112
*** როდესაც მოვა სადამო...	113
*** სოფლის ხსოვნის.....	114
ვითომ ანდერძი	115
*** ცივ სიჩუმეში წოლით...	116
*** ათასწლეულთა მოვალთ...	117
*** დამის ხეივანს მიჰყვება...	118
არსენა ოძელაშვილი.....	119
ფაცხა მეგრული.....	120
*** საიდანდაც მოვარდნილი.....	121
*** აპრილიგით თეორებს...	122
*** თავზე წამომდგარ...	123
პოლიპიმნია	124
*** მზე მეფის	125
*** მოკვდები...	126
*** ვით მუხრან-ბატონს.....	127
*** დაუურველი ცეცხლი...	128
მყინვარწვერი	129
*** მოულოდნელად ცაზე	130

*** ეძებს... და მუდამ ჰპოვებს...	131
*** ხდვა და ცის ლურჯი..	132
*** ჩავიდა მთვარე...	133
*** დარდის ღრუბლებით...	134
ეგვიპტე	135
*** დასაბამიდან ასე ყოფილა.....	136
*** დიად დარჩენილ მტრობის..	137
*** ჩვენი მამა-პაპანი.....	138
*** მიგუყვებოდი ფიქრის...	139
*** როცა ცისკარი...	140
INTIME	141
*** გაჯავრდა დმერთი და...	142
შემოდგომა კოლხეთში.....	143
*** ჩვენს წასაყვანად დამით...	144
*** შეღამებისას წაეკიდნენ...	145
*** როგორც რაგვის ქვეშ...	146
ოქროს თასი	147
ნარდი.....	148
*** გულზე წუხილად კალავ...	149
*** ხის ტოტებზე გაფენილი	150
*** მთებს მოსწყინდებათ...	151
*** მოსასვენებლად თვალს...	152

*** მიხმობს...	153
უსახელო ჯარისკაცის...	154
*** მე მიხარია.....	155
*** ოურქებმა და მონღოლებმა.....	156
*** და მერე გვიან.....	157
*** მე.....	158
გურიაში	159
*** მე.....	160
ოთხი ვარსკვლავი	161
*** ერთმანეთს ებრძვის...	162
ცრემლი	163
*** ელოდა და...	164
უშბა და შხარა.....	165
*** შორს მიმავალი...	166
მთვარე.....	167
არწივი.....	168
*** არ ჩერდება!	169
*** ნათლითშემოსილ ბრძენს...	170
*** გარდასულ დღეთა მესმის...	171
*** მთიდან ყინვის...	172
დაშორება	173
*** სადღაც ნაპირი...	174

აპრილი მთაში.....	175
*** ზღვის ცისფერ...	176
მუქარა.....	177
*** ქუჩებში ისევ...	178
*** სადღაც ისმოდა...	179
*** გულო ჩადექი საგულეს.....	180
*** ასე მგონია	181
*** ზღვის აღელვებაზე.....	182
აფხაზეთი.....	183
ბაბილონი.....	184
*** მიწა ცას უმზერს	185
*** ნაპირისაკენ მქროლი...	186
*** შორეთს მიმავალ...	187
*** ზღვის გულისოქმა.....	188
*** დამე	189
*** სამშობლოსათვის მარად...	190
*** ქარი დასავლეთით...	191
*** ზღვასთან მიმდგარი...	192
თბილისი, სამაჩაბლო...	193
ნოეს ხმა.....	194
*** სიხარული გვაქვს.....	195
*** ვეძე ზღვებსა და ოკეანებს.....	196

*** ვით დევის ქოშკმი	197
*** შემოუგდია შემოდგომას...	198
სოდომი და გომორა.....	199
ცოომილები	200
***წინ გამოწვდილი ზეირთთა...	201
2აგვისტო.....	202
*** მოვარდა გულბორგნეული	203
მეტეხთან	204
*** ვით უფალი თავის სამწყსოს	205
*** ქართულ მიწაზე დგანან.....	206
ეტნა	207
დავითფერული.....	208
*** ჩამოწვა ღრუბელი...	209
*** გვეი	210
*** სიტყვა ღმერთია ცისა...	211
*** ღრუბლებმა ყორნების...	212
*** ჩემში ქარიშხლის...	213
*** ხელს გიწვდიდა საალერსოდ	214
*** მტერს რომ დაუმალა	215
*** ჩემი მეგრული სახლის...	216
*** ცაც ხარ და მიწაც	217
*** შუბლზე წაეკრათ ნისლის...	218

*** სანაპიროზე სუსტი და...	219
თელები.....	220
*** ფიქრი	221
ატმები და ალუჩები	222
*** ვითარც აზომ, ზოგ ზოგებმა.....	223
*** ვითარცა მეფე...	224
*** დავბადებულვარ მაისის...	225
*** თეთრი ღრუბლის	226
*** იქ დაუცია სიკვდილს კარავი	227
*** უცხვირპირომ.....	228
*** მზის უფსკრულიდან...	229
*** დღეები კი ისევ ისე.....	230
მორწმუნე	231
*** სტრიქონების გამაქვს...	232
*** სხედან ცაში და ქსოვენ...	233
*** თეთრი სიჩუმით მობიბინე.....	234
ორნი.....	235
*** ჩამავალი მზის...	236
სიონში.....	237
*** გაღვიძებული მამლის...	238
ქართველო.....	239
ისევ ანდერძი	240

*** მზე ჩადის...	241
*** გული გულს იცნობს...	242
*** სოფელს ისევ კლავს...	243
როგორც ტობალი.....	244
ზამთრის ღამე რიწასთან	245
რომი.....	246
1626.....	247
*** ქარი, ღრუბლების...	248
*** თოლიების თეთრი..	249
*** მისი ხშირი სტუმარია	250
*** ცა ისევ სტყორცნის.....	251
*** ყვავილების ბოლში ახვევს	252
ქართლის მთები	253
*** უბანა კარიდან გავიდა...	254
*** ეამს მიმწუხერისას შენზე...	255

2. December 18



2020.6.

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 27

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 27

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – სოჭო ციცაძე |
| მხატვარი | – სპართაკ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი უშვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღვამაძე |
| კორექტორი | – შეთეგან ბერშლავა |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყადეაშვილება |
| გამომცემელი | – დაწი დოლგაძე |

თბილისი
2020



გამომცემლობა „კონვენციალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაია №4. ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com